სსიპ-ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

# წლიური ანგარიში 2024

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

## შინაარსი


1. შესავალი ... 3
2. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების ხელშეწყობა ... 6
2.1 ხარისხის შიდა უზრუნველყოფა ... 7
2.1.1 საგანმანათლებლო პროგრამების კოლეგიური შეფასება ... 7
2.1.2 აკადემიური მოსწრებისა და სწავლის შედეგების ანალიზი (საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით) ... 9
2.1.3 გამოკითხვები და მიზნობრივი კვლევები ... 13
2.1.3.1 სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით ... 13
2.1.3.2 სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა სტატუსის შეჩერების მიზეზების კვლევა ... 17
2.1.3.3. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ფაკულტეტების 2023 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება ... 19
2.1.4 სტუდენტთა მონაწილეობა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში ... 26
2.1.5 ნორმატიული დოკუმენტების შესწავლა, კომენტირება და განხილვა შემდგომი დანერგვისათვის 27
2.2 ხარისხის გარე უზრუნველყოფა ... 29
2.2.1 გარე განმავითარებელ შეფასებათა ციკლი უნივერსიტეტში ... 30
2.2.2 უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების (რე)აკრედიტაციის პროცესი ... 30
3. ინსტიტუციური განვითარების შესახებ ... 33
3.1 ავტორიზაციის პროცესი ... 33
3.2 უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2024-2030) ... 35
3.3 ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციის ინსტიტუციური შეფასების პროგრამის (IEP) შეფასების თანმდევი ანგარიში ... 36
3.4 საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში უნივერსიტეტის მონაწილეობის მხარდაჭერა ... 36
3.5 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში ... 37
3.5.1 *„კვლევის პასუხისმგებლობიანად წარმართვა – კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში" (ETHICS)* ... 37
3.5.2 ტრენინგების სერია პროექტის *ETHICS ფარგლებში* ... 37
3.5.3 აშშ პროგრამა University Capacity Building Program (UCBP) ... 38
3.6 აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა ... 38
3.7. პერსონალის განვითარების მხარდაჭერა ... 38
3.8. სიახლეები პროფესიული განათლების ცენტრში ... 39
3.9. თანამშრომლობა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან ... 41
3.10. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდის განახლება და ინფორმაციული შევსება ... 42
4. თანამშრომლობა ხარისხის უზრუნველყოფის გარე აქტორებთან და ინსტიტუციებთან ... 44
4.1 თანამშრომლობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთანს ... 44
5. სამსახურის სხვა საქმიანობა ... 45
5.1 გარე და შიდა კორესპონდენციის მიმოქცევის შესწავლა და მომზადება ... 45
6. სამსახურის თვითშეფასება და შემდგომი განვითარების პერსპექტივები ... 46

## 1. შესავალი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (შემდგომში სამსახური) წარმოადგენს უნივერსიტეტის მართვის ერთ-ერთ ორგანოს. მისი საქმიანობის მიზანი უნივერსიტეტის სერვისების ხარისხის მუდმივი განვითარება და ინსტიტუციაში ხარისხის კულტურის განუხრელი განვითარება და გაზიარებაა. სამსახური მოქმედებს "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე და 31-ე მუხლების, უნივერსიტეტის წესდებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების შესაბამისად. თავის საქმიანობაში ის ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის მიერ შემუშავებული დოკუმენტის "ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში" და ეროვნული ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით.

სამსახურის საქმიანობის ძირითადი სფეროებია:

ა) უნივერსიტეტში სწავლა-სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის შემდგომი ხელშეწყობა;

ბ) ავტორიზაციისა და კლასტერული აკრედიტაციის პროცესებისთვის თვითშეფასების პროცესის ორგანიზება. პროგრამების გარე შეფასებისთვის მომზადება, ეროვნული და საერთაშორისო აკრედიტაციის მიღების მიზნით;

გ) სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა;

დ) საერთაშორისო თანამშრომლობისა და საერთოევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციის ხელშეწყობა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების გაუმჯობესების, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისა და საგანმანათლებლო სივრცეში სიახლეების დანერგვის მიზნით;

ე) უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის გაძლიერება საუნივერსიტეტო შიდა აქტორების, განსაკუთრებით კი სტუდენტების მეტი ჩართულობითა და ცნობიერების ამაღლების გზით მათი თანამონაწილეობით ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში;

ვ) ინსტიტუციური განვითარების პროცესებში ჩართულობა: ინსტიტუციურ პროცესებზე დაკვირვება, განვითარების ცალკეული ეტაპების შეფასება კომპეტენციის ფარგლებში, ინსტიტუციის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრა, შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა;

ზ) მონაწილეობა საზოგადოებრივი მსახურებისათვის ინსტიტუციური გარემოს გაუმჯობესებაში - ინსტიტუცია და ფართო საზოგადოება - მესამე მისია.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ინსტიტუციის შემდგომი განვითარების მიზნით უნივერსიტეტის მრავალპროფილური საექსპერტო გამოცილდების საფუძველზე. განსაკუთრებით ნიშანდობლივია მისი თანამშრომლობა ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან, რომლებიც წარმოადგენენ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ნაწილს, თუმც მათი საქმიანობა გარკვეულწილად ეფუძნება ფაკულტეტის დარგებისა და სფეროების სპეციფიკას, რაც ხშირად დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების საფუძველია.

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია სწავლა-სწავლებისა და კვლევის, საუნივერსიტეტო სერვისების ხარისხის განვითარების მდგომარეობა სანგარიშო პერიოდისათვის 2023 წლის დეკემბრიდან 2024 წლის დეკემბრის ჩათვლით, შედარებულია სამსახურის სამოქმედო გეგმასთან და შემუშავებულია მომავალი წლის განვითარების გეგმის კონტურები და პერსპექტივები სამსახურის წინაშე არსებული გამოწვევების ფონზე.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დღიდან თავისი ფუნქციონირებისა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განვითარების არაერთი მნიშვნელოვანი ეტაპი გაიარა. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შემდგომი განვითარება განიხილება როგორც მიმდინარე ინსტიტუციური ამოცანა, რომელიც იგეგმება სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულების აქტიური ჩართულობით.

ინსტიტუციური პროცესები ფოკუსირებულია კვლევის ოთხი სერვისის ფარგლებში, როგორიცაა სწავლა/სწავლება, კვლევა, ადმინისტრირება/მართვა და მომსახურება/ტრანსფერი.
საანგარიშო პერიოდში განისაზღვრა არაერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელიც უნივერსიტეტმა ინსტიტუციურად განიხილა და დაგეგმა მათი დაძლევის ღონისძიებები. მათ შორის უნდა დასახელდეს:

- თანამშრომლობა ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციასთან (EUA) ინსტიტუციური შეფასების პროგრამის (IEP) ფარგლებში;
- ინსტიტუციის გარე შეფასება ავტორიზაციის ფარგლებში და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დამატებითი განსაზღვრა;
- უნივერსიტეტის ახალი სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება;
- საუნივერსიტეტო შიდა რეგულაციების რედაქტირება შესაბამისი პროცესების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით;
- მონაწილეობა ახალ საგრანტო კონკურსებში როგორც კვლევით, ისე სწავლების, მომსახურებისა და მართვის მიმართლებით;
- ახალი ერთობლივი და ორმაგი ხარისხის მქონე საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება ინტერნაციონალიზაციის გაფართოების მიზნით;
- ინსტიტუციური განვითარების ფარგლებში მიზნობრივი კვლევების მართვა და შედეგების ანალიზი.

დაწესებულებამ მნიშვნელოვანი პერიოდი დაუთმო ავტორიზაციის და სტანდარტებთან შედარების პროცესს უნივერსიტეტის ყველა აქტორის ერთიანი თვითშეფასების უზრუნველსაყოფად ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებაში და შემდგომი ინსიტუტციური განვითარებისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად. უნივერსიტეტის ავტორიზაცია წარმატებით დასრულდა 2024 წლის აგვისტოში, კერძოდ, დაწესებულებას მიენიჭა უპირობო ავტორიზაცია 6 წლის ვადით და ინსტიტუცია გადადვიდა განვითარების ახალ ეტაპზე, რომლიც ახალი სტრატეგიული განვითარების გეგმის თანახმად ახალ ამოცანებს აყენებს საუნივერსიტეტო საზოგადოების წინაშე. წარმატებულ ავტორიზაციის პროცესს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა დაწესებულებისათვის, რამაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საუნივერსიტეტოს სტრატეგიული განვითარების მუდმივმოქმედ კომისიას და მასთან არსებულ კვლევის ჯგუფს უკარნახა არაერთი მნიშვნელოვანი პერსპექტივა (როგორიცაა მაგ.,, ფინანსური, დაინტერესებული მხარეების, შიდა პროცესების, სწავლებისა და ზრდის პერსპექტივები), რომელზე მომავალში გამახვილდება ყურადღება.
სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024 წლის დეკემბრისთვის ფუნქციონირებს 213 **საგანმანათლებლო პროგრამა** რომელთაგან 64 ბაკალავრიატის, 93 მაგისტრატურის, 4 ერთსაფეხურიანი (დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის), 2 ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, 46 დოქტორანტურის, 2 მასწავლებლის (მასწავლებლის და სპეციალური მასწავლებლის მომზადება), ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო და ასევე 16 პროფესიული პროგრამაა.
ავტორიზაციის შემდგომ გაიზარდა  სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა (28 433-ით, მათ შორის მედიცინის ფაკულტეტზე - უცხოელი სტუდენტთა რაოდენობა 1500-ით), შესაბამისად, დღევანდელი მონაცემებით უნივერსიტეტში სწავლობს 24949 სტუდენტი, მათ შორის 1045 უცხოელი სტუდენტი, ხოლო სასწავლო პროცესში ჩართულია 732 აკადემიური, მათ შორის 35 უცხოელი პერსონალი. უნივერსიტეტი ქართველ და უცხოელ სტუდენტებს ასევე სთავაზობს ინგლისურენოვან და ბილინგვურ საგანმანათლებლო პროგრამებს ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და რუსულ ენებზე (სულ 27 საგანმანათლებლო პროგრამა: 12 ბაკალავრიატის, 10 მაგისტრატურის, 3 დოქტორანტურის და 2 ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა). თსუ-ში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებიდან 11 აკრედიტებულია საერთაშორისო სააგენტოების (FIBAA, ABET, ACS) მიერ.
სამსახურის 2024 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული კლასტერული და ინდივიდუალური (რე)აკრედიტაციის პროცესის შედეგად უნივერსიტეტში (რე)აკრედიტებულია 12 საგანმანათლებლო პროგრამა (მათ შორის: 2 ბაკალავრიატის (მათ შორის 1 180-კრედიტიანი), 7 მაგისტრატურის (მათ შორის 4 აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა), 2

დოქტორანტურის და 1 სპეციალური მასწავლებლი მომზადების პროგრამა.). უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგს შეემატა 6 ახალი საგანმანათლებლო პროგრამა (1 ბაკალავრიატის (180კრედიტიანი), 3 მაგისტრატურის (1 მაგისტრატურისა და 2 აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა), 1 დოქტორანტურისა და 1 სპეციალური მასწავლებლი მომზადების პროგრამა.).

2024 წელს საუნივერსიტეტო სივრცეში განხორციელდა არაერთი გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგი, რომლის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამებმა, ერთი მხრივ, წარადგინეს ანგარიშები აკრედიტაციის ექსპერტთა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების თაობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, განხორციელდა როგორც შესაბამისობის შეფასება საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან, ისე აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ შეფასდა ყველა ის სიახლე და განმავითარებელი აქტივობა, რომელიც აღირიცხა კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამების სამწლიან ანგარიშებში (საკვალიფიკაციო ჩარჩოს თავსებადობაზე წარდგენილი იყო 2 საგანმანათლებლო პროგრამა (ამათგან 1-ზე დასრულებულდა წარმოება.), განმავითარებელი (სამწლიანი) ანგარიში - 15 საგანმანათლებლო პროგრამისათვის (2 ბაკალავრიატის, 4 ერთსაფეხურიანი, 4 მაგისტრატურის, 5 დოქტორანტურის), აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების ანგარიშების შესრულების მიზნით მომზადებული ანგარიშები - 11 საგანმანათლებლო პროგრამაზე, მათ შორის 4 ბაკალავრიატის, 4 მაგისტრატურის, 3 დოქტორანტურის) ცალკეულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ასევე გაგრძელდება 2025 წელს (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთა ფაკულტეტებზე) სააკრედიტაციო წარმოება.

პერიოდულად საგანმანათლებლო პროგრამებმა განიცადეს კონკრეტული ცვლილებები (უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს (13 სხდომაზე) წინაშე წარდგენილი იყო 7 ფაკულტეტის 205 საგანმანათლებლო პროგრამის 377 სხვადასხვა ტიპის ცვლილება; (რე)აკრედიტაციის მიზნით დამტკიცდა 3 კლასტერი (16 პროგრამა) და 5 ინდივიდუალური პროგრამა; მომზადდა 4 რედაქტირებული საუნივერსიტეტო შიდა რეგულაცია და გაუქმდა 10 საგანმანათლებლო პროგრამა, რაც გამოწვეული იყო ცალკეულ დარგებში განხორციელებული ინოვაციებით, შიდა და გარე შეფასების საფუძველზე ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების საგანმანათლებლო პროგრამაში დანერგვით, პროგრამით დაინტერესებულ პირთა მიერ შემოთავაზებული სიახლეების განხილვითა და საგანმანათლებლო პროგრამაში მათი ასახვით.

უნივერსიტეტში ხარისიხის უზრუნველყოფის სისტემა რეალურად ახორციელებს ხარისხის ინსტიტუციურ მართვას, რაც თავის მხრივ გულისხმობს საერთო სტრატეგიის ამოცანებში რაც შეიძლება მეტი როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალურ ჩართულობას. საანგარიშო პერიოდში არაერთი გარე შეფასებისა და ხარისხის სამსახურის მიერ დაგეგმილი შიდა აქტივობების პროცესში დიდი იყო საკუთრივ საუნივერსიტეტოს საზოგადოების წვლილი, რაზეც მეტყველებს ის ფაქტის, რომ უპირობოდ მაღალი იყო უნივერსიტეტის აკადემიური და ამინისტრაციული პერსონალის მონაწილეობა გარე შეფასების პროცესში.

გარე აქტორებთან მნიშვნელოვანმა თანამშრომლობამ უნივერსიტეტისთვის ცხადი გახადა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სტრუქტურისა და პროცესების გამართული ფუნქციონირების საფუძველზე, შესაძლებლობა ეძლევა საკუთარი საქმიანობის ფოკუსი მიმართოს ინსტიტუციის განვითარებისთვის მნიშვნელოვან რეალურ აქტივობებზე, რაც ასევე განახლდა და გაიწერა თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე განახლებული სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუდმივად მხარს უჭერს სამსახურის პერსონალის პროფესიულ განვითარებას როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ტრენინგების, შეხვედრების, ვებინარებისა, თუ კონფერენციების ფარგლებში. 2024 წელს ამ მიმართულებით გაზიარდა და დაიგეგმა **პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები,** კერძოდ, 2 ფართოფორმატიანი ტრენინგი ქართველი და უცხოელი საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, რომელთა ფარგლებში განხილულ იქნა უმაღლესი განათლების ახალი გამოწვევები.

საანგარიშო პერიოდში, გარდა დაგეგმილი საქმიანობისა, როგორიცაა *უნივერსიტეტში სწავლა-სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა, გარე შეფასების მხარდაჭერა* და *მსგვ.*, ინსტიტუციამ დაგეგმა და განახორციელა არაერთი შიდასაქმიანობის მხარდამჭერი ღონისძიება, კერძოდ,

თანამშრომლობა ხარისხის შიდა და გარე აქტორებთან საკანონდებლო ინიციატივების შესწავლის, განხილვის, რეკომედებისა და მხარდაჭერის მიზნით, რაც დეტალურად იქნება წარმოდგენილი წინამდებარე ანგარიშში.

## 2. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების ხელშეწყობა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ 7 ფაკულტეტზე 2024 წელს ირიცხება აქტიური სტატუსის მქონე 25571 სტუდენტი, რომელთაგან 19462 ბაკალავრიატის სტუდენტია, 1869 -მაგისტრანტი, 2157 - ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტი, 897 -დოქტორანტი, 99 მასწავლებლის, 564 ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო და 523 ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სტუდენტი. თსუ-ში სწავლობს 1047 უცხოელი სტუდენტი. სტუდენტთა რაოდენობით (6236) ყველაზე დიდი ფაკულტეტია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, რომელსაც მოსდევს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა (5116), იურიდიული (3977) და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა (3487) ფაკულტეტები (სხვა ფაკულტეტები: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა (2515), მედიცინა (2348), ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა (1892)). გასულ საანგარიშო წელთან შედარებით სტუდენტთა კონტიგენტის უმნიშვნელო მატება განპირობებული იყო გასულ 2024 წელს ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობის მატებით, რაც საანგარიშო პერიოდში მიუახლოვდა ავტორიზაციით ნებადართულ ზღვრულ რაოდნობას. 2024 წლის ავტორიზაციის დასრულების შემდგომ დაწესებულებას ნება დაერთო სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა გაეზარდა 28 433-მდე. თუმცა სტუდენტთა რაოდენობის ზრდის თვალშისაცემი რიცხვი გასულ საანგარიშო წელთან მიმართებაში არ ფიქსირდება, რაც განპირობებულია მეტწილად სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა მზარდი რიცხოვნობით. სტუდენტთა რაოდენობის ზრდა ინდივიდუალურად დაფიქსირდა იურიდიულ (<232), ფსიქოლოგიისა და განათლების (<71), ზუსტ და საბუნებისმეტყველო (<48) და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე (<11). გასულ საანგარიშო წელთან შედარებით სტუდენტთა რაოდენობის კლება დაფიქსირედა: მედიცინის (>129), სოციალურ (>123) და პოლიტიკურ და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტებზე (>53).




დიაგრამა 1 *სტუდენტთა რაოდენობრივი მაჩვენებელი 2023 და 2024 წელს.*

უნივერსიტეტში ხუთ ფაკულტეტზე: ზუსტ და საბუნებისმეტყველო, ფსიქოლოგიისა და განათლების, ჰუმანიტარულ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და ეკონომიკისა და ბიზნესის

ფაკულტეტებზე ფუნქციონირებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული საგანმანათლებლო პროგრამები (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, მათემატიკა (265)/ქართული ფილოლოგია, ისტორია, არქეოლოგია, ფილოსოფია (410)/დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (85)/ეკონომიკა (500))/სოციალური მუშაობა (35)). მათ შორის დაფინანასებული სასწავლო ადგილების მაღალი ათვისების მაჩვენებელი აქვს ეკონომიკის ფაკულტეტს, ხოლო გრანტოსანი სტუდენტების ყველაზე დიდი რაოდენობა კი დასტურდება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

გლობალური გამოწვევებიდან და სოციალური ვითარებიდან გამომდინარე სტუდენტთა სტატუსი შეჩერებული ჰქონდა უნივერსიტეტის სტუდენტთა 49%-ს (12.442), რაც გასული საანგარიშო წლის მონაცემებთან (14%) შედარებით 2%-ითაა (16%) გაზრდილი. თუმცა ასევე უნდა აღინიშნოს, რომ თვალში საცემია სტუდენტთა დენადობის მაჩვენებელი (2473 სტუდენტი, რაც საერთო რაოდენობის დაახლოებით 10%-ია.).

2024 წელს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები ემსახურებოდა 1047 უცხოელ სტუდენტს (მათ შორის ყველაზე მაღალი დატვირთვა მოდიოდა (867) მედიცინის უცხოურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე), რაც შემცირებულია 2023 წლის მაჩვენებელთან მიმართებით.

საუნივერსიტეტო 7 ფაკულტეტზე 2023 წლის დასასრულს მუშაობდა 213 საგნმანათლებლო პროგრამა უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე, ხოლო 27 უცხოენოვანი და ბილინგვური საგანმანათლებლო პროგრამა. ფაკულტეტების შესაბამისად სრული სტატისტიკა წარმოდგენილია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შესაბამის ვებგვერდზე.

## 2.1 ხარისხის შიდა უზრუნველყოფა

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის საკითხების განსაზღვრა, შესაბამისი აქტივობების დაგეგმა და მათი განხორციელების მიზნით კონკრეტული სტრატეგიების შემუშავება, რომელიც ინსტიტუციის ჰოლისტურად შეფასების წინაპირობას შექმნის. გამომდინარე იქიდან, რომ უნივერსიტეტის ახალმა სტრატეგიული განვითარების გეგმამ ინსტიტუციის განვითარების მიზნით ახალი პრიორიტეტები დააყენა დღის წესრიგში, როგორიცაა, *საგანმანათლებლო საქმიანობა, სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობა, ორგანიზაციული ეფექტიანობა და ინსტიტუციური განვითარება და მესამე მისია*, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამსახურმა 2024 წლის სამუშაო გეგმაში განსაზღვრა არსებითი ამოცანები:

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების კოლეგიური შეფასება;
- ✓ აკადემიური მოსწრებისა და სწავლის შედეგების ანალიზი (საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით);
- ✓ გამოკითხვები და მიზნობრივი კვლევები:
  - სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით;
  - სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა სტატუსის შეჩერების მიზეზების კვლევა;
  - დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ფაკულტეტების 2023 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება;
- ✓ სტუდენტთა მონაწილოება პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში;
- ✓ ნორმატიული დოკუმენტების შესწავლა, კომენტირება და განხილვა შემდგომი დანერგვისათვის.

### 2.1.1 საგანმანათლებლო პროგრამების კოლეგიური შეფასება

პროგრამების კოლეგიური შეფასების მექანიზმი ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომლის მეშვეობით შესაძლებელია ინსტიტუციის ფარგლებში გაზიარებულ იქნას ახალი გამოცდილება, მომზადდეს დღევანდელი საგანმანათლებლო სივრცისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად აღიარებული ინტერდისციპლინური საგანმანათლებლო პროგრამები, ინსტიტუციის ფარგლებში მოქმედი დისციპლინების მნიშვნელოვანი მიღწევებისა და არსებითი სპეციფიკის სრულყოფილი გაზიარებით.

2024 წელს კოლეგიური შეფასება ასევე აქტუალური იყო საგანმანათლებლო პროგრამების (რე)აკრედიტაციის პროცესში, განსხვავებული მიზნებითა და ფორმით კონკრეტული ინსტრუმენტების გამოყენებით, რომელთა შედეგების განხილვა თავდაპირველად საგანმანათლებლო პროგრამის მხარდამჭერ კომიტეტში ხორციელდება, ხოლო მომდევნო ეტაპზე ის გადადის ფაკულტეტის საბჭოს განხილვის ფორმატში სირთულიდან გამომდინარე.

კოლეგიური შეფასება აქტუალურია კლასტერული აკრედიტაციის პროცესში წარდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და ექსპერტიზის მიზნით შემდგომში კლასტერში შემავალი საგანმანათლებლო პროგრამების სააკრედიტაციო პორტფოლიოს მოსამზადებლად. ამ შეფასების ფარგლებში მარტივად დგინდება სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურზე წარმოდგენილი ერთი და იმავე დარგების საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების ხარისხი, შინაარსობრივი ბმულობა და დარგობრივი განვითარების ხარისხი, ისევე როგორც შინაარსობრივი და ფორმალური გადაფარვები, რომლის დამუშავება და კორექტირება ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მეტი დარგობრივი კომპეტენციის მიღებას და კურსდამთავრებულის პროფესიულ განვითარებას.

საგანმანათლებლო პროგრამების კოლეგიური შეფასების პროცედურამ იმპულსი მისცა საუნივერსიტეტო სივრცეში ინტერდისციპლინური პროგრამების განახლებისა და აკრედიტაციის პროცესებში აკრედიტაციის უნივერსიტეტელ დარგის ექსპერტთა მონაწილეობას, რომლებიც არამხოლოდ ექსპერტიზას უწევენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესებს, არამედ აზიარებენ საკუთარ (როგორც დარგის ექსპერტის, ისე უშუალოდ პროგრამის შემფასებლის) საუკეთესო პრაქტიკებს, რაც თავის მხრივ აძლიერებს ხარისხის კულტურას, ამაღლებს ხარისხის ცნობიერებასა და აკადემიურ პროცესში ჩართული საუნივერსიტეტო საზოგადოების თვითპასუხისმგებლობას.

საანგარიშო პერიოდში შეფასებები დაიგეგმა იმ საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომლებიც

- იმყოფებოდა (რე)აკრედიტაციის პროცესში;
- საჭიროებდა მოდიფიცირებას ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან მიმართებაში;

შესაბამისად შიდა შეფასება განხორციელდა:

- *აკრედიტაციის მიზნით*: 6 საგანმანათლებლო პროგრამაზე (მათ შორის: 1 ბაკალავრიატის - (180 კრედიტიანი), 1 მაგისტრატურა, 2 მაგისტრატურის (ერთწლიანი, კლასტერიდან), 1 - დოქტორანტურის, 1 - სპეციალური მასწავლებლის მომზადების);
- *რეაკრედიტაციის მიზნით*: 6 საგანმანათლებლო პროგრამაზე 1 კლასტერისა (5 საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის: 1 - ბაკალავრიატის; 3 - მაგისტრატურის (მათ შორის 2 ერთლიანი მაგისტრატურა) 1 - დოქტორანტურის) და 1 მაგისტრატურის (ინდივიდუალური განაცხადის ფარგლებში);
- *კვალიფიკაციის ჩარჩოსთან თავსებადობის მიზნით*: **1** საგანმანათლებლო პროგრამაზე (1 - მაგისტრატურის).

შიდა კოლეგიალური შეფასების პროცესში გამოვლენილი რეკომენდაციებიდან ყველაზე ტიპობრივად იქნა მიჩნეული:

- შეფასების შინაარსისა და ფორმების კორექტურა;
- სასწავლო ლიტერატურის განახლება;
- საგანმანათლებლო პროგრამის რუკების კორექცია და სწავლის შედეგებისა და მიზნების თავსებადობა;
- სასწავლო კურსის კვირეული კალენდარის ზუსტი დესკრიპცია;
- სწავლის შედეგების კვლევის დოკუმენტის სრულყოფილი შედგენა;
- სანიშნულე კვლევის დოკუმენტის მომზადება;
- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ჩამოყალიბება;
- თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტის კორექტირება.

კოლეგიალური შეფასებისას გარდა ექსპერტული დასკვნების წარდგენისა ყურადღება ექცევა აკრედიტაციის პროცესის სიმულაციური პროცედურის გააზრებულ და დეტალურ აღდგენას, ამასთან თანამშრომლობის პროცესი უზრუნველჰოფს: *გამოცდილებისა და საუნივერსიტეტოს ფაკულტეტების ცალკეული დარგების სპეციფიკის გაზიარებას; უცხოური გამოცდილების სიღრმისეულ შესწავლას და*

*საუკეთესო პრაქტიკების გადმოტანას ცალკეულ საგანმანათლებლო პროგრამებში; საგანმანათლებლო პროგრამით დაინტერესებული პირების მაქსიმალურ ჩართულობას შეფასების პროცესში; პროგრამის მხარდამჭერი კომიტეტების უფლებების გაფართოებას და მათი მუდმივ აქტიურ მონაწილეობას საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში.*

საანგარიშო პერიოდში კოლეგიალურად შეფასდა 15 საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის 3 ბაკალავრიატის, 9 მაგისტრატურის, 2 დოქტორანტურისა და 1 სპეციალური მასწავლებლის (60 კრედიტიანი) ახალი საგანმანათლებლო პროგრამა. შეფასებაში მონაწილეობა მიიღო 89 პირმა (მათ შორის, დარგის ექსპერტებმა, დამსაქმებლებმა, კურსდამთავრებულებმა და სტუდენტებმა). განხილვები გაიმართა როგორც პირისპირ, ასევე ელექტრონული პლატფორმის zoom მეშვეობით.

### 2.1.2 აკადემიური მოსწრებისა და სწავლის შედეგების ანალიზი (საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით)

საგანმანათლებლო პროგრამებისთვის მნიშვნელოვანი ამოცანაა უწინარეს ყოვლისა გაანალიზდეს მაქსიმალური სიზუსტით სასწავლო პროცესებში აკადემიური მოსწრების შედეგები, რომელზეც მეტწილადაა დამოკიდებული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება. ამას გარდა ყოველი გარე შეფასება თავისთავად გულისხმობს სწავლის შედეგების ანალიზსა და ნიშნულების კორექტურას. შესაბამისად, ყოველი შეფასება თავის მხრივ აუცილებლად გულისხმობს სწავლის შედეგების გადახედვას და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვას საგანმანათლებლო პროგრამის მიერ დასახული მიზნებისა და მონიშნული სწავლის შედეგების სრულფასოვნად მიღწევისათვის. აკადემიური მოსწრების ანალიზის პროცესი ყალიბდება რამდენიმე მნიშვნელოვანი სეგმენტის ურთიერთშეჯერების საფუძველზე: *პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა*; *კურიკულუმის რუკა*; *სწავლის შედეგების შეფასების რუკა*;

სასწავლო პროცესების განვითარების დეპარტამენტთან თანამშრომლობით მონაცემების ანალიზს ამზადებს პროგრამის მხარდამჭერი კომიტეტი, რომელიც ადგენს რამდენად თავსებადია სწავლის შედეგები პროგრამით განსაზღვრულ მიზნებთან. მონაცემთა პირველად ანალიზს იძლევა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სისტემა. რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამის საკვანძო და კომპეტენციის მიმცემი სასწავლო კურსების სწავლის შედეგებს, მათი ანალიზი შესაძლებელია სწავლის შედეგების შეფასების რუკის მიხედვით მომზადებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე.

საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები ეფუძნება საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით მომზადებულ დარგობრივ მახასიათებლებს (თუმცა ასეთის არარსებობის შემთხვევაში პროგრამის მხარდამჭერი კომიტეტი ამზადებს სანიშნულე კვლევას, ეძებს საუკეთესო ანალოგებს როგორც ქართულ, ისე უცხოურ საგანმანათლებლო სივრცეში და შედარების საფუძველზე ადგენს საკუთარი საგანმანათლებლო პროგრამის პრიორიტეტებსა და გამოწვევებს საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში.). უნივერსიტეტის დარგობრივ ექსპერტთა ხელშეწყობით მომზადდა უმაღლესი განათლების სხვადასხვა დარგობრივი მახასიათებელი, რომელთანაც შესაბამისობაში მოვიდა საანგარიშო პერიოდში ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა აკრედიტაცია განხორციელდა კლასტერულად. პროგრამის მხარდამჭერმა კომიტეტმა მოამზადა სწავლის შედეგების ანალიზი კლასტერში შემავალ 7 საგანმნათლებლო პროგრამაზე, ისევე როგორც ინდივიდუალურად და კონკრეტული მეთოდოლოგიით მომზადდა ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის მაგისტრატურის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ***ფინანსები*** სწავლის შედეგების კვლევა.

კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამებიდან მოქმედი იყო სამი საგანმანათლებლო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურიდ პროგრამები. დანარჩენი პროგრამებისთვის დარგობრივი გამოცდილებიდან გამომდინარე მომზადდა შეფასების სამიზნე ნიშნულები შესაბამისი პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების რუკებში. კვლევის ჯგუფმა ბიზნესის ადმინისტრირების სამივე საფეხურის პროგრამებისთვის სწავლის შედეგები შეაფასა როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით. დამუშავებული შედეგების

მიხედვით მომზადდა რეკომენდაციების პაკეტი, რომლის საფუძველზე განხორციელდა ცვლილებები უკვე მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებში. განზოგადდა და ჩამოყალიბდა ცალკეული პროგრამისათვის სამიზნე ნიშნულები, როგორიცაა:

*ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა **ბიზნესის ადმინისტრირება**:*

- ✓ *შესაფასებელი სასწავლო კურსების, პრაქტიკისა და საკვალიფიკაციო ნაშრომის მიხედვით*: შეფასდა დარეგისტრირებული ყველა სტუდენტი (100% გენერალური ერთობლიობიდან);
- ✓ სამიზნე ნიშნულები საგანმანათლებლო პროგრამის 8 მოდულიდან სამიზნე ნიშნულები სრულად შესრულებულია 4 მოდულში, მეტწილად შესრულებულია 2 მოდულში და ნაწილობრივ შესრულებულია 2 მოდულში;

*მატისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა **ბიზნესის ადმინისტრირება**:*

- ✓ *შესაფასებელი სასწავლო კურსების, პრაქტიკისა და საკვალიფიკაციო ნაშრომის მიხედვით*: შეფასდა დარეგისტრირებული ყველა სტუდენტი (100% გენერალური ერთობლიობიდან);
- ✓ სამიზნე ნიშნულები საგანმანათლებლო პროგრამის 8 კონცენტრაციიდან სამიზნე ნიშნულები სრულად (100%-ით) შესრულებულია 3 კონცენტრაციაში, მეტწილად (50%-ით და მეტით) შესრულებულია 4 კონცენტრაციაში და ნაწილობრივ (49%-ით და ნაკლებით) შესრულებულია 1 კონცენტრაციაში;
- ✓ ყველა კონცენტრაციისთვის საშუალოდ სავალდებულო სასწავლო კურსებში სამიზნე ნიშნულები სრულად შესრულებულია 79.0%-ით
- ✓ მთლიანობაში სამაგისტრო ნაშრომების დაცვაზე მიღებული წლიური მონაცემებით სამიზნე ნიშნულები მიღწეულია, კერძოდ, სტუდენტთა სტუდენტთა 60%-ზე მეტი იღებს 61 ქულას და მეტს; კონკრეტულად საშუალოდ სტუდენტების 85% მიიღო A შეფასება, ხოლო B შეფასება 14%-მა. ჯამურად სამიზნე ნიშნული100%-ით არის მიღწეული.

*დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა **ბიზნესის ადმინისტრირება**:*

- ✓ *შესაფასებელი სასწავლო კურსებისა და საკვალიფიკაციო ნაშრომის მიხედვით*: შეფასდა დარეგისტრირებული ყველა სტუდენტი (100% გენერალური ერთობლიობიდან);
- ✓ 2019-2023 წლების კურსდამთავრებულთა 84%-მა დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი არაუმეტეს 8 სემესტრის განმავლობაში ე.ი. განსაზღვრული სამიზნე ნიშნული მიღწეულია;
- ✓ საანგარიშო პერიოდში სულ დაცულია 19 დისერტაცია, მათ შორის; მე-6 სემესტრში - 16%; მე-7 სემესტრში -21%; მე-8 სემესტრში - 47%; მე-9 სემესტრში - 5%; მე-10 სემესტრში -11%;
- ✓ სამიზნე ნიშნულები 2019-2023 წწ. მეტწილად მიღწეულია, კერძოდ, სამიზნე ნიშნულების მიღწევის ოთხი წლის საშუალო მაჩვენებელი 50%-ია, რაც გულისხმობს სტუდენტთა 70%-ზე მეტმა მიიღო 81 ქულაზე მაღალი შეფასება. ჩატარებული ანალიზიდან გამომდინარე, სამიზნე ნიშნულები ნაწილობრივ მიღწეულია დარგობრივი სემინარისა და პროფესორის ასისტენტობის კომპონენტში, რაც განპირობებულია დოქტორანტების მიერ აღნიშნული კომპონენტების არჩევით და შემდგომ მისი არ შესრულებით (რეალურად, დოქტორანტების ნაწილი არ ასრულებს სემინარს) და არა იმ დოქტორანტების მიერ მიღებული შეფასებით, რომელთაც შეასრულეს აღნიშნული კომპონენტები ასევე, სამიზნე ნიშნული ნაწილობრივ შესრულებულია პროფესორის ასისტენტობის კომპონენტშიც. მიზეზიც ამ შემთხვევაში იდენტურია (ვინც შეასრულა დარგობრივი სემინარი და პროფესორის ასისტენტობა 70%-ზე მეტმა მიიღო 81 ქულაზე მეტი). სადოქტორო ნაშრომის დაცვის შედეგებს, ოთხივე სასწავლო წელს გაზაფხულისა და შემოდგომის სემესტრებში სტუდენტთა 100%-მა მიიღო უმაღლესი შეფასება (A).

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) შესაბამის სამსახურებთან, მათთან ერთად ხორციელდება კონკრეტული კვლევების მომზადება და შემდგომში მათი განხილვა საფაკულტეტო საბჭოზე. 2024 წელს ინდივიდუალური განაცხადი მომზადდა ეკონომიკის საერთშორისო სკოლის მიერ ბიზნესის ადმინისტრირების კლასტერული აკრედიტაციის პროცესში ჩასართავად. ინსტიტუციამ სააკრედიტაციო პაკეტი მოამზადა ყველა საერთაშორისო, ქართული და საუნივერსიტეტო საკანონმდებლო მოთხოვნებისა და შიდა რეგულაციების მიხედვით.

ანალიზის შედეგების მიხედვით ცალკეული სასწავლო კურსის მონაცემები ასახავს პროგრამის მოცემულ სასწავლო კურსზე დარეგისტრირებულ სტუდენტთა საერთო რაოდენობას და შესაბამისი აკადემიური მოსწრების მაჩვენებლებს. შესრულებულია სამიზნე ნიშნულების მონაცემები: შესრულება-სტუდენტთა 60%-ზე მეტი იღებს 61 ქულას და მეტს; მეტწილად შესრულება - სტუდენტთა 50-59% იღებს 61 ქულას და მეტს; ნაწილობრივ შესრულება-სტუდენტთა 50%-ზე ნაკლები იღებს 61 ქულას და მეტს. მთლიანობაში სამაგისტრო ნაშრომების დაცვაზე მიღებული წლიური მონაცემებით სამიზნე ნიშნულები მიღწეულია, კერძოდ, სტუდენტთა 60%-ზე მეტი იღებს 61 ქულას და მეტს; ჯამურად სამიზნე ნიშნული მიღწეულია.

დეტალური ანალიზი მომზადდა სოციალურ და პოლიტიკური მეცნიერების ფაკულტეტის მიერ წარდგენილი ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების განახლებული საგანმანათლებლო პროგრამების სააკრედიტაციო პორტფოლიოში. კვლევის მიზნით ფაკულტეტმა შეიმუშავა კონკრეტული მეთოდოლოგია, რომლის მიხედვით ის წარმოადგენს სწავლის შედეგების ანალიზს, რომელიც დაეფუძნა სისტემური და სისტემატური კვლევების მეშვეობით მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზს.

ბაკალავრიატის საფეხურზე ჟურნალისტიკის მიმართულებაზე მომზადდა რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა ***ჟურნალისტიკა***, რომელიც აკრედიტაციის შემდგომ ჩაანაცვლებს ამავე სახელწოდების ბილინგვურ საგანმანათლებლო პროგრამას. შესაბამისად, პროგრამული კომიტეტის მიერ დამტკიცდა კვლევის ჯგუფის მიერ მომზადებული საანგარიშო პერიოდში ძველ პროგრამაში ჩართული სტუდენტების სწავლის შედეგები და კვლევის მონაცემებ ზე დაყრდნობით დაკორექტირდა ნიშნულები ცალკეულ სასწავლო კურსში. კვლევის მონაცემები შეგროვდა სემესტრულად. პროგრამის განმახორციელებლების მიერ შეირჩა 17 სასწავლო კურსი და განისაზღვრა სამიზნე ნიშნულები. კვლევის პერიოდი განისაზღვრა 2019-2023 წლით, ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამა წარდგენილი იყო აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

კვლევამ გამოავლინა საანგარიშო პერიოდში სამიზნე ნიშნულების მერყეობა ცალკეულ სასწავლო კურსებში 4-დან 7%/მდე, შედეგების ანალიზის საფუძველზე სანიშნულე ზღვრებთან შედეგების მერყეობის კონკრეტული მიგნებები და მიზეზები ჩამოყალიბდა:

- შეფასების სამიზნე ნიშნულის დაწევა სასწავლო კურსებში, რომელიც გათვლილია სამაგიდო გამომცემლობის პროგრამების, აუდიო და ვიდეო სამონტაჟე პროგრამების ცოდნაზე სრულფასოვანი მედიაპროდუქტის შესაქმნელად, რაც გამოწვეული იყო პანდემიის პერიოდში შეცვლილი სასწავლო პროცესის ფორმატით;
- შეფასების სამიზნე ნიშნულის დაწევა პრაქტიკულ სასწავლო კურსებში, რაც განპირობებული იყო ინფორმაციის მოპოვების გაძნელებით, სტუდენტთა მობილობის, ცოცხალ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვით;
- სამიზნე ნიშნული მთლიანად მიღწევადი იყო 13 სასწავლო კურსისთვის, გარდა ქაართული ენისა 1, რომლის სასწავლო შინაარსი ძნელად დაძლევადი აღმოჩნდა ბოლო სამი მიღების კონტინგენტის უმრავლესობისთვის. აკადემიური პერსონალის წინაშე დაისვა ქართული ენის სწავლების მეთოდიკის გადასინჯვა ან მისთვის განსხვავებული სამიზნე ნიშნულის დაწესება, რაც დაკორექტირდა სააკრედიტაციოდ წარდგენილ ახალ საგანმანათლებლო პროგრამაში.

ამავე ფაკულტეტზე შეჯერდა სწავლის შედეგები საგანმანათლებლო პროგრამისათვის ***ორგანიზაციული ტრანსფორმირება და კონსულტირება***, რომელიც მომზადდა ინდივიდუალური აკრედიტაციის მიზნით. მონაცემების შეგროვდა უკანასკნელი სამი სემესტრის მიხედვით. კვლევის ძირითად მიგნებებად აღინიშნა:

- რომ სტუდენტების აკადემიური მაჩვენებლების დინამიკა, არსებითად, თანაბარია;
- აღსანიშნავია უმაღლესი შეფასების მაღალი მაჩვენებელი, განსაკუთრებით 2024 წლის შემოდგომის სემესტრში, რაც მოწმობს სტუდენტთა მაღალ მოტივაციას;
- პროგრამის სავალდებულო საგნებში შეფასებები დაბალანსებულია, რაც მოწმობს იმას, რომ ამ საგნებში შეფასების სისტემა და კომპონენტები საკმარისად დივერსიფიცირებულია, რაც იძლევა სტუდენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების ადეკვატური შეფასების შესაძლებლობას;

- სავალდებულო სასწავლო კურსების შეფასების დადებითი დინამიკა, სტუდენტთა ადეკვატური რაოდენობა იღებს „ფრიადს“ და „ძალიან კარგ“ შეფასებას.

საერთო კვლევას მოჰყვა მუშაობა ფოკუს ჯგუფში, განხორციელდა კონკრეტული ქმედებები, კერძოდ,

- პროგრამის ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის მიერ შედარებით მარტივად დაძლევადი სასწავლო კურსებისა და მათი განმახორციელებლების იდენტიფიცირება კონსულტაციები (სწავლის შედეგების მიღწევადობის, სწავლება-სწავლის მეთოდებისა და შეფასების კრიტერიუმების შესაძლო ცვლილების) ამ მიმართულებით; შედარებით მარტივად დაძლევადი სასწავლო კურსებთან მიმართებით განხორციელებული ნაბიჯების შედეგად მიღწეული შედეგების იდენტიფიცირება ფოკუს-ჯგუფების გამოკითხვის გზით;
- საჭირო, პროგრამის ხელმძღვანელის მხრიდან გაგრძელდეს მონიტორინგი, რათა ყველა პედაგოგმა დაიცვას სილაბუსებით გაწერილი შეფასების მოდელი და შეფასება განახორციელოს თითოეული კომპონენტის (დასწრება/აქტიურობა, შუალედური და საბოლოო შეფასებები სხვადასხვა ფორმით (ესსე, ტესტი, ქვიზი და ა.შ.) აკადემიური „წონის“ დეტალური გათვალისწინებით.
- 2024 წლის შემოდგომის სემესტრში სხვადასხვა აკადემიური მოსწრების სტუდენტებთან ფოკუს-ჯგუფის ჩატარება და მათგან ინფორმაციის მიღება, აკადემიური მოსწრების მიზეზების იდენტიფიცირება და ანალიზი;

სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზის საფუძველზე გასული 3 სემესტრის განმავლობაში პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალისა და პროგრამის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით განხორციელდა რამდენიმე ცვლილება, კერძოდ, ზოგიერთ შემთხვევაში გადახალისდა და გამრავალფეროვანდა სასწავლო ლიტერატურა, მათ შორის განახლდა სასწავლო კურსის სილაბუსებში სწავლება-სწავლის მეთოდები და შეფასების სისტემა, რიგ სასწავლო კურსებში გადაიხედა და განახლდა სასწავლო კურსის შინაარსი.

სწავლის შედეგების ანალიზი განხორციელდა გეგმიური სამწლიანი ანგარიშების შეფასებისას ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 4 საგანმანათლებლო პროგრამაზე (მათ შორის 3 მაგისტრატურისა და 1 დოქტორანტურის საფეხურის). საერთო ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ:

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ***ინფორმაციული ტექნოლოგიები***:

სწავლის შედეგები ნიშნულებთან მიმართებით გაუმჯობესდა 3 სასწავლო კურსზე (მონაცემთა ბაზების მართვის თანამედროვე სისტემები; თანამედროვე ოპერაციული სისტემები; სისტემური პროგრამული უზრუნველყოფა;), ყველა დანარჩენ შემთხვევში სწავლის შედეგები წლების მიხედვით მერყეობს, თუმცა ნიშნულიდან გადახრა არ ფიქსირდება;

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ***ინფორმაციული სისტემები***:

წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამის სანიშნულე კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ შერჩეული შეფასებული სასწავლო კურსების მიხედვით განსაზღვრული ნიშნულები გადალახული აქვს კურსის მონაწილეთა მეტწილს (საშუალო პროცენტული მაჩვენებელი გაანალიზებული 10 დარგობრივი სასწავლო კურსიდან მაქსიმალურია 6 სასწავლო კურსში, ხოლო 4 სასწავლო კურსში დაძლელულია კურსის მონაწილეთა ნახევარზე მეტის მიერ). თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე პროგრამაში გადასახედია სამიზნე ნიშნულები სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისთვის (შეფასება ჩაშლილია კომპონენტების მიხედვით, რაც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.), რისი კორექტირება დაგეგმილია წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ***ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია***:

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სანიშნულე კვლევის შედეგები პოზიტიურია მიმდინარე სამი წლის განმავლობაში შეჯერებული კონკრეტული სასწავლო კურსების ანალიზის მიხედვით, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე პროგრამაში გადასახედია სამიზნე ნიშნულები სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისთვის (შეფასება ჩაშლილია კომპონენტების მიხედვით, რაც ეწინააღმდეგება მოქმედ

კანონმდებლობას.), რისი კორექტირება დაგეგმილია წინამდებარე საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ***ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია***
დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სანიშნულე კვლევის შედეგები პოზიტიურია მიმდინარე სამი წლის განმავლობაში შეჯერებული კონკრეტული სასწავლო კურსების ანალიზის მიხედვით. რაც შეეხება საკვალიფიკაციო ნაშრომის შეფასების ნიშნულს, მისი შეფასება განხორციელდა 2021 წელს და ამ შემთხვევაში შედეგი შეესაბამება სამიზნე ნიშნულს.

### 2.1.3 გამოკითხვები და მიზნობრივი კვლევები

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების ინსტიტუციური განვითარებისთვის მნიშვნლოვანი ფუნქცია ენიჭება სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულთა გამოკითხვებს, აკადემიური პროცესების განვითარების შემდგომი აქტივობის დაგეგმივისათვის.
საერთო თემატური და მიზნობრივი კვლევების გარდა, ცალკეული კვლევები იგეგმება შიდა და გარე ხარისხის შეფასების მიზნით, მზადდება უშუალოდ პროგრამული კომიტეტისა და საფაკულტეტოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ მკვლევართა ჯგუფის ჩართულობით. დაწესებულებამ 2024 წელს სრულყოფილი კვლევები მოამზადა ინსტიტუციის ყველა რგოლში, შეაჯერა და გაანალიზა მონაცემები, რაც წარმოდგენილი იყო დეტალურად ინსტიტუციური ანგარიშის დოკუმენტში. წინამდებარე ანგარიშში ასახვა ჰპოვა ყველა იმ კვლევამ, რა საანგარიშო წლის ბოლომდე კონკრეტული მიზნით განხორციელდა. ავტორიზაციის პროცესის დასრულების შემდგომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ავტორიზაციის ანგარიშის მონაცემების შესწავლის საფუძველზე პრიორიტეტულად დაასახელა უწინარესად სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირთა საკითხების კვლევა, რომელიც თავისთავად თსუ ხარისხის უზრუნველყოფის 2024 წლის სამოქმედო გეგმის მნიშვნელოვან საკითხად განიხილებოდა. ამდენად, სამსახურის მიერ დაიგეგმა:

- ✓ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით;
- ✓ სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა სტატუსის შეჩერების მიზეზების კვლევა;
- ✓ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ფაკულტეტების 2023 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება.

#### 2.1.3.1 სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

2024 წლის საანგარიშო პერიოდში კლასტერული აკრედიტაციის პროცესში მომზადდა ერთი კლასტერი და ორი ინდივიდუალური სააკრედიტაციო პაკეტი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, რომელსაც სააკრედიტაციო პორტფოლიოში მტკიცებულების სახით წარმოდგენილი ჰქონდა სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანალიზი.
წინამდებარე კვლევის მიზანია სტუდენტთა მოლოდინებისა და კმაყოფილების შესწავლა. გამოკითხვა ჩატარდა სასწავლო კურსებისა და შესაბამისად პედაგოგთა შეფასების კითხვარის მიხედვით. მაგისტრატურის და დოქტორანტურის საფეხურზე გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო სტუდენტების დიდმა ნაწილმა.
მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე (ეკონომიკა, ბიზნესის ადმინისტრირება, ტურიზმი) გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო სულ 247-მა სტუდენტმა. გამოვლინდა შემოდგომის სემესტრით გათვალისწინებული სასწავლო კურსებით სტუდენტთა კმაყოფილების დონე. გაანალიზდა სხვადასხვა სასწავლო კურსის 150 შეფასების კითხვარი (მათ შორის თავისუფალი არჩევითი კურსებისათვის). განხორციელდა მიღებული მონაცემების დაჯგუფება, დამუშავება და შეფასება ცალკეული სასწავლო კურსის მიხედვით. შეფასებები გასაცნობად და რეაგირებისთვის ინდივიდუალურად გადაეცათ პროფესორ მასწავლებლებს. ანალიზი ჩატარდა საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად.

მაგისტრატურის პირველი სემესტრის სასწავლო კურსებში მონაწილე სტუდენტების აქტივობა გამოკითხვებში იყო უფრო მაღალი, რაც საკმარისად იქნა მიჩნეული გამოკითხვის შედეგების სიზუსტის დასადგენად. ცალკეული სასწავლო კურსებისთვის, როდესაც სტუდენტების განსაკუთრებით მცირე რაოდენობამ მიიღო გამოკითხვაში მონაწილეობა, შედეგების სიზუსტე შესაძლოა ეჭვქვეშ დადგეს (კერძოდ 1 ან 2 სტუდენტი). ამიტომ ასეთი შემთხვევები შემაჯამებელი ანგარიშის მომზადებისას არ იქნა გათვალისწინებული.

კითხვარის მიხედვით შეფასების ცალკეული კრიტერიუმების მიხედვით პასუხები წარმოდგენილი იყო 4 ქულიანი შეფასების სკალით (4 ქულა - უმაღლესი შეფასება, ხოლო 1 ქულა-ყველაზე დაბალი შეფასება). რესპონდენტთა პასუხები თითოეული კითხვის მიხედვით წარმოდგენილი იყო შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით: ჯამი, საშუალო არითმეტიკული, მედიანა, სტანდარტული გადახრა. ანალიზის დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგით კმაყოფილება გამოთქვა გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტების უმრავლესობამ. შეფასებების მნიშვნელოვანი ნაწილი არის 3 ქულაზე მაღალი, შეფასება ძირითადად მერყეობს 3,5 ქულიდან 4 ქულამდე. ერთადერთ შემთხვევაში ცალკეული კრიტერიუმის მიხედვით შეფასება აღმოჩნდა 2,5 ქულა (პასუხი შეკითხვაზე „პედაგოგმა შექმნა სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემო“). ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც კი სასწავლო კურსითა და პედაგოგით საერთო კმაყოფილების დონე გამოიხატა 3 ქულით.

ფაკულტეტმა გამოკითხვები საკითხის განზოგადების მიზნით განახორციელდა ეკონომიკის სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამებზე, რათა მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენა შექმნილ იყო ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო პროცესების თაობაზე.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე **ეკონომიკა** კითხვარი შეავსო 81-მა სტუდენტმა. გაანალიზდა მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიერ სასწავლო კურსების შესაბამისად პედაგოგთა შეფასება. გამოკითხულთა 48% მაღალ შეფასებას ანიჭებს სწავლების ხარისხს (3.5-4.0 ქულა), ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მწირია სტუდენტების მიერ წარმოდგენილი კომენტარები, ძირითადად პედაგოგების და სწავლების ხარისხს აფასებენ დადებითად. მხოლოდ დაფიქსირდა ერთი კომენტარი, სადაც ერთ-ერთ სასწავლო კურსში ყურადღება გამახვილებულია სწავლების პროცესში თეორიულთან ერთად პრაქტიკული ნაწილის გაძლიერების მიმართულებით.




დიაგრამა №2 პერსონალის შეფასების საშუალო მაჩვენებელი ქულების შესაბამისად (*ეკონომიკა*).

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ***ბიზნესის ადმინისტრირება*** კითხვარი შეავსო 156-მა სტუდენტმა. გამოკითხულთა 45% მაღალ შეფასებას (3.5-4.0 ქულა) ანიჭებს სწავლების ხარისხს. ამასთან, აღნიშნულ პროგრამაზეც მწირია სტუდენტთა კომენტარები.




დიაგრამა №3 პერსონალის შეფასების საშუალო მაჩვენებელი ქულების შესაბამისად (***ბიზნესის ადმინისტრირება***).

რაც შეეხება მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამას ***ტურიზმი,*** პროგრამაზე შემოდგომის სემესტრში დარეგისტრირებული იყო სულ 13 სტუდენტი და მათი გამოკითხვის შედეგები ასახულია დიაგრამაზე 4. ტურიზმის სამაგისტრო პროგრამაზე კითხვარი შეავსო 10-მა სტუდენტმა.




დიაგრამა №4 პერსონალის შეფასების საშუალო მაჩვენებელი ქულების შესაბამისად (***ბიზნესის ადმინისტრირება***).

ერთიანი გამოკითხვა ჩატარდა ასევე დოქტორანტებისათვის დოქტორანტურის საფეხურის სამივე საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 42-მა დოქტორანტმა. საერთო გამოკითხვა განაპირობა საგანმანათლებლო პროგრამაზე ბაზისური სასწავლო კურსების იდენტობამ. შეფასებები ასახულია დიაგრამაზე №5. გამოკითხულთა 86% მაღალ შეფასებას (3.5 -4.0 ქულა) ანიჭებს სწავლების ხარისხს.

შეფასება განხორციელდა ორი მიმართულებით კურსის სწავლება და ლექტორის შეფასება. კურსის სწავლების მიმართულებით შეფასებაში მაღალი შედეგით არის წარმოდგენილი: კურსის სწავლების შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამასთან; თეორიული ცოდნის მიღება; წყაროებისა და ლიტერატურის შესაბამისობა, ხელმისაწვდომობა; სასწავლო კურსების შინაარსი, მიზნები, ამოცანები და სხვა. ლექტორის შეფასებების მიმართულებით მაღალი ქულები დაფიქსირდა შემდეგ კითხვებში: სწავლის პროცესში პედაგოგის მიერ სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნა; დასმულ შეკითხვებზე პასუხების გაცემა, სწავლის პროცესში წარმართულ დისკუსიები, სტუდენტებთან კომუნიკაცია და მათთან ერთად დავალებებისა თუ სხვა საკითხების განხილვა და სხვა.




დიაგრამა №5 პერსონალის შეფასების საშუალო მაჩვენებელი ქულების შესაბამისად (***დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები***).

სტუდენტების შეფასება ძირითადად პოზიტიურია, თუმცა კონკრეტულ შემთხვევაში, მათ მიერ მოთხოვნილ იქნა სასწავლო გარემოს გაუმჯობესება; პროგრამული უზრუნველყოფა და ახალი კომპიუტერები; სასწავლო კურსებში უფრო მეტი პრაქტიკული ელემენტის შემოტანა; სასწავლო მასალების გამარტივება.

საგანმანათლებლო პროგრამების მხარდამჭერი კომიტეტების მიერ შეჯერდა წარმოდგენილი ანალიზის შედეგები და რეაკრედიტაციის პროცესში პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა მოამზადა ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში.

სტუდენტთა გამოკითხვა განხორციელდა ასევე ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, მათ შორის იყვნენ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ***ფინანსები***. უნივერსიტეტში აკრედიტაციის პროცესის მომზადება ხანგრძლივი და მრავალეტაპიანი პროცესია, შესაბამისად კვლევები მომზადდა სამაგისტრო პროგრამის ერთი სრული ციკლის ასახვის მიზნით 2022 წლიდან. გამოკითხულ იქნა 578 სტუდენტი, მათ შორის 23 მაგისტრი, გამოკითხვა მიმდინარეობდა ანონიმურად და ელექტრონულად. კითხვარი შედგებოდა 14 კითხვისგან და იყოფოდა 4 ნაწილად, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის მართვა და ორგანიზება; სასწავლო რესურსები, სტუდენტთა ჩართულობა ინსტიტუციურ პროცესებში, ისევე როგორც პროფორიენტირება და პრაქტიკა, კითხვარის ფარგლებში სტუდენტებს ღია კითხვების სეგმენტში შესაძლებლობა ჰქონდათ ემსჯელათ მართვის მნიშვნელოვან სხვა საკითხებზე. ერთიანობაში კვლევის ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა 84 პასუხი.

კვლევის ჯგუფმა შეაჯერა რა სტუდენტთა გამოკითხვების კომენტარის ველები, დააფიქსირა რამდენიმე მნიშვნელოვანი სტუდენტური მოთხოვნა:

- რამდენიმე საკვანძო სასწავლო კურსის ხარისხის გაუმჯობესება, რაც ასევე დაკონკრეტებულია (აკადემიური პერსონალის მომზადების ხარისხის, პრობლემების აღმოფხვრა ონლაინ საგამოცდო პროცესში, დროის შეზღუდვა და მსგვ.);
- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში მეტი პრაქტიკული სასწავლო კურსის გათვალისწინება;
- მეტი სტუდენტური ღონისძიება;
- მეტი ტრანსპარანტულობა სტუდენტთა ადმინისტრაციული პროცესებში ჩართვის მიზნით მოწყობილ შესარჩევ პროცედურებში.

აქვე უნდა განიმარტოს, რომ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის სტუდენტთა მიერ გამოთქმული ცალკეული რეკომენდაციები შესწავლილ იქნა პროგრამის მხარდამჭერი კომიტეტის მიერ, რაც აისახა სააკრედიტაციო პროგრამის პაკეტში. ასევე უნივერსიტეტის არაერთ ღონისძიებაში უკვე აქტიურად არიან ჩართული სტუდენტები, იქნება ეს აკადემიური პროცესები, ინტერნაციონალიზაცია, თუ ჩართულობა საუნივერსიტეტო სოციალურ პროექტებში.

### 2.1.3.2 სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა სტატუსის შეჩერების მიზეზების კვლევა

2024 წლის საავტორიზაციო ანგარიშის ფარგლებში დაწესებულების მიერ დამატებით მოთხოვნილ იქნა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ზრდა, რაც გარკვეულწილად განპირობებული იყო სტუდენტთა მიერ პანდემიის პერიოდიდან ვიდრე დღემდე სტუდენტური სტატუსის შეჩერების მაღალი მაჩვენებლით. სტუდენტთა მიერ სტატუსის გააქტიურება არ მომხდარა ლოკდაუნის შემდგომაც, ვინაიდან წინამდებარე პროცესებს მოჰყვა მთელი რიგი გლობალური სოციალური მოვლენები. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა საავტორიზაციო პროცესების დასრულებისთანავე დაგეგმა სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა სტატუსის შეჩერების მიზეზების მოკვლევა.

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მიმდინარე წლის აპრილის თვეში ჩაატარა სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა კვლევა. კვლევის მიზანს წარმოადგენდა სტუდენტთა მიერ სტატუსის შეჩერების გამომწვევი მიზეზების დადგენა, შემდგომში სწავლა-სწავლების ბარიერების აღმოფხვრისა და აკადემიური აქტივობის გაზრდის მიზნით.

კვლევის ფარგლებში, თსუ-ის შვიდივე ფაკულტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის, ერთსაფეხურიანი, ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო), ქართულ ენაში მომზადებისა და მასწავლებლის მომზადების პროგრამების სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს (2024 წლის გაზაფხულის სემესტრში - 10753 სტატუსშეჩერებული სტუდენტი), Google Surveys-ის მეშვეობით გაეგზავნათ ონლაინ კითხვარი. რესპონდენტებს დაეგზავნათ სტრუტურირებული კითხვარი, რომელიც შედგებოდა 7 შეკითხვისგან (მათ შორის, 6 დახურული და 1 ღია შეკითხვა).

გამოკითხვის შესახებ ინფორმაცია სტუდენტებს სატელეფონო სმს შეტყობინების სახით მიუვიდათ. ისინი ნებაყოფლობით ავსებდნენ კითხვარს. გამოკითხვის პროცესში უზრუნველყოფილი იყო რესპონდენტთა ანონიმურობა. ონლაინ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 1199-მა სტატუსშეჩერებულმა სტუდენტმა. გამოკითხვა მიმდინარეობდა 4 დღის განმავლობაში, დაიწყო 03.04.2024 და დასრულდა 07.04.2024. კვლევის ჩატარებისა და მონაცემთა დამუშავების პროცედურა ცენტრალიზებული იყო, რაც განხორციელდა თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო თსუ-ს შვიდივე ფაკულტეტის 10753 სტატუსშეჩერებული სტუდენტიდან 1199-მა (დიაგრამა N6 და დიაგრამა N7).




დიაგრამა N6 სტატუსშეჩერებული სტუდენტების %-ლი განაწილება სწავლების საფეხურების მიხედვით




დიაგრამა N7 სტატუსშეჩერებული სტუდენტების %-ლი განაწილება ფაკულტეტების მიხედვით

კვლევის შედეგად გამოიკვეთა სამი ყველაზე აქტუალური პრობლემური მიმართულება, რომლებიც აფერხებენ სტუდენტებს უმაღლესი განათლების მიღების გზაზე და აიძულებს დროებით შეიჩეროს სტუდენტის სტატუსი. შეკითხვაზე, თუ რა წარმოადგენს სტატუსის შეჩერების მიზეზს, სტუდენტები სწავლის გაგრძელების ყველაზე დიდ დაბრკოლებად ასახელებენ სწავლის საფასურს (41% - 491 რესპონდენტი). მას მოსდევს მუშაობისა და სწავლის შეუთავსებლობა/დატვირთული სამუშაო გრაფიკი (39.7% - 476 რესპონდენტი) და ოჯახური მდგომარეობა/პირობები (21.3% - 255 რესპონდენტი) (იხ. დიაგრამა N8). შედარებით მცირე პროცენტული წილი ერგო, თუმცაღა სტატუსის შეჩერების გამომწვევ მიზეზებს შორის დასახელდა, მოუხერხებელი სასწავლო ცხრილი (11.1% - 133 რესპონდენტი), სწავლების არადამაკმაყოფილებელი ხარისხი (10.2%- 122 რესპონდენტი), აკადემიური ჩამორჩენა (9.8% - 117 რესპონდენტი), პროფესიის შეცვლის გადაწყვეტილება (8.7% - 104 რესპონდენტი), საფასურის გადახდის მოუქნელი პირობები (8.4% - 101 რესპონდენტი) და ჯანმრთელობის მდგომარეობა (7.5% - 90 რესპონდენტი) (იხ. დიაგრამა N9).

დიაგრამა N8. სტუდენტის სტატუსის შეჩერების მიზეზ(ებ)ი




დიაგრამა N9. სტუდენტის სტატუსის შეჩერების სხვა მიზეზ(ებ)ი




უმნიშვნელო რაოდენობის რესპონდენტების მიერ (მონაცემები მერყეობს 1%-დან 5.5%-მდე) სტატუსის შეჩერების გამომწვევ მიზეზებად დასახელდა:

1. საუნივერსიტეტო სერვისებით უკმაყოფილება - 66 რესპონდენტი;
2. კომუნიკაციისა და ინფორმირებულობის დაბალი დონე - 62 რესპონდენტი;
3. სხვა ქვეყანაში/ქალაქში საცხოვრებლად გადასვლა - 62 რესპონდენტი;
4. აკადემიური პერსონალის გულგრილი დამოკიდებულება - 41 რესპონდენტი;

5. ადმინისტრაციული პერსონალის გულგრილი დამოკიდებულება - 40 რესპონდენტი;
6. საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელება - 34 რესპონდენტი;
7. საგამოცდო სისტემის/ცენტრის მოუქნელობა - 32 რესპონდენტი;
8. შრომის ბაზარზე არაპოპულარული საგანმანათლებლო პროგრამა - 28 რესპონდენტი;
9. სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხელმეორედ ჩაბარება - 24 რესპონდენტი;
10. აკადემიური პერსონალის არაკვალიფიციურობა - 20 რესპონდენტი;
11. შეუთავსებლობა სტუდენტებთან - 18 რესპონდენტი;
12. თსუ-ში ხელმეორედ ჩაბარება - 16 რესპონდენტი;
13. სტუდენტთა აკადემიური მხარდაჭერის სერვისით უკმაყოფილება - 12 რესპონდენტი.

ღია ტიპის შეკითხვაზე, **„რა დახმარება/სერვისი შეიძლება გაგიწიოთ/შემოგთავაზოთ უნივერსიტეტმა სტუდენტის სტატუსის აღდგენის მიზნით?“**, სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა სურვილის შემთხვევაში გამოეთქვათ კრიტიკული პოზიცია. სტუდენტთა პასუხებიდან შესაძლებელი გახდა რამდენიმე თემატური ჯგუფის კალსიფიცირება, მათ შორის, მოქნილი ცხრილის შეთავაზება, სწავლის საფასურის ეტაპობრივი გადახდა უფრო მისაღები პირობებით, სწავლების ფორმატის ცვლილება, სასწავლო პროცესის საღამოს საათებში გადატანა, ადმინისტრაციის მხრიდან მეტი კომუნიკაცია სტუდენტებთან სტატუსის შეჩერების, თანხის გადახდისა და დაგროვილი კრედიტების რაოდენობის თაობაზე, დოქტორანტურის საფეხურზე ხელმძღვანელის მხრიდან დოქტორანტისთვის მეტი დახმარების გაწევა, დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის საფასურის შემცირება ან/და გაუქმება, სტატიის გამოქვეყნების პროცესში ხელშეწყობა.

### 2.1.3.3. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ფაკულტეტების 2023 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება

2024 წლის საანგარიშო პერიოდში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატარა თსუ საგანმანათლებლო ერთეულებისა (ფაკულტეტები) და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“, საქართველოს კანონით „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“, საქართველოს კანონით „განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ“, უნივერსიტეტის წესდებით, შიდა საუნივერსიტეტო მარეგულირებელი აქტებით, სფეროს მარეგულირებელი საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტებით, სახელმძღვანელო პრინციპებით, ადგილობრივი და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებისა და დანერგვის გზით.

თსუ-ში აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და სახელოვნებო/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასება ხორციელდება შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციების, აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის N78/2018 დადგენილებით „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი“ და N81/2018 დადგენილებით „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესი“.

ზემოხსენებული დადგენილებების თანახმად, უნივერსიტეტის სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და სახელოვნებო/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასება გულისხმობს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების (ფაკულტეტების) და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების აკადემიური და სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის და მასწავლებლების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი, სახელოვნებო/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასებას. უნივერსიტეტის სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და სახელოვნებო/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასების პროცესში შეიძლება გამოყენებულ იქნას სამეცნიერო ბიბლიომეტრიკის სხვადასხვა ფორმა, ან შეფასების პროცესში ჩართულ იქნან უცხოელი შემფასებლები ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების საბჭოების და დამოუკიდებელი სამეცნიერო-

კვლევითი ერთეულების სამეცნიერო საბჭოების გადაწყვეტილებით.
უნივერსიტეტის პერსონალის სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და სახელოვნებო/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასება ხორციელდება აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი პერსონალის შეფასების წესით განსაზღვრული თვითშეფასების ანგარიშების და მათში წარმოდგენილი კრიტერიუმების საფუძველზე. დადგენილი წესის შესაბამისად, პერსონალის თვითშეფასების შედეგებს განიხილავენ და აფასებენ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების საბჭოები/სამეცნიერო საბჭოები და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარუდგენენ სამეცნიერო-კვლევითი და სახელოვნებო/შემოქმედებითი საქმიანობის ანგარიშს, მის ანალიზსა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიზნით. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და სახელოვნებო/შემოქმედებითი საქმიანობის ანგარიშის ანალიზის საფუძველზე შემუშავებულ რეკომენდაციებს წარუდგენს აკადემიურ საბჭოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიზნით.
აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება გადამწყვეტ როლს თამაშობს უნივერსიტეტის ინსტიტუციური საქმიანობისა და კვლევითი პროდუქტიულობის შეფასების პროცესში, რადგან შეფასების დროს მოპოვებული, გაანალიზებული და შესწავლილი მონაცემები გვაძლევს ინფორმაციას რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულებით, მათ შორის, კვლევის/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის, პროფესიული განვითარების, აღიარებისა და წახალისების, ფინანსური თუ მატერიალური უზრუნველყოფისა, მართვისა და ანგარიშვალდებულებითი სისტემის შესახებ.
საანგარიშო პერიოდში, თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გაანალიზა და შეისწავლა 7 საგანმანათლებლო ერთეულისა (ფაკულტეტი) და 16 დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პერსონალის მიერ შევსებული თვითშეფასების ფორმები და წლიური ანგარიშები.

## ფაკულტეტების 2023 წლის სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების შეფასება

2023 წლის საანგარიშო პერიოდში, თსუ-ს 7 ფაკულტეტზე დასაქმებული პერსონალის (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული) საერთო რაოდენობა შეადგენს 2289 პირს. მათ შორის, აკადემიური 730 (პროფესორი - 168, ასოცირებული პროფესორი - 411, ასისტენტ-პროფესორი - 136, ასისტენტი - 15, მოწვეული - 1494 და სამეცნიერო პერსონალი - 21). სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა 718-ია, საიდანაც აფილირებული პროფესორია 164, აფილირებული ასოცირებული პროფესორია 404, აფილირებული ასისტენტ-პროფესორია 135, ხოლო ასისტენტი 15-ვე აფილირებულია. 7-ვე ფაკულტეტზე სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა შეადგენს 40 პირს.
2023 წლის განმავლობაში თსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ შექმნილია 1866 პუბლიკაცია, მათ შორის:

1. სამეცნიერო სტატია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში, რომელიც ინდექსირებულია Web of Science-ის მიერ; სამეცნიერო სტატია გამოქვეყნებული ჟურნალში, რომელიც აღიარებულია ERIH-ის (European Reference Index of the Humanities) მიერ - 398;
2. სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია Web of Science, Scopus, SCImago Journal & Country Rank, ResearchGate-ის მიერ - 386;
3. რეცენზირებული (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები სხვა საერთაშორისო ჟურნალებში, რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო, ასევე რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო კონტრიბუციისთვის; უცხოეთში გამოცემული ყველა სამეცნიერო სტატია, რომლებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - 831;
4. ქართველოლოგიურ დარგებში მოღვაწე სამეცნიერო პერსონალისთვის რეცენზირებული სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებული ქართულ სამეცნიერო ჟურნალებში, რომელთაც ჰყავთ ადგილობრივი სარედაქციო საბჭო და აქვთ ISSN კოდი - 159;

5. სხვა - 92.

საანგარიშო პერიოდში, ყველაზე დიდი რაოდენობით სამეცნიერო სტატია შემუშავდა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ. სულ 697 სტატია ჟურნალში. აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში აღნიშნულ ფაკულტეტს ყველაზე მეტი მეცნიერ-თანამშრომელი ჰყავს ჩართული თსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებიდან. სამეცნიერო სტატიების შემუშავების რაოდენობით მეორე ადგილზეა 446 სტატიით ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ხოლო მესამე ადგილზე მოხვდა 318 პუბლიკაციით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. საანგარიშო პერიოდში, მედიცინის ფაკულტეტის პერსონალის მიერ 163, ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე 95, ხოლო იურიდიულ ფაკულტეტზე 72 სტატია შემუშავდა.




თსუ-ის ფაკულტეტების აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ 2023 წლის განმავლობაში შემუშავებულია 152 წიგნი/მონოგრაფია. ხსენებული კატეგორია მოიცავს შემდეგ ქვეკატეგორიებს:

1. მაღალრეიტინგული რეცენზირებული (საერთაშორისო რეცენზირების მქონე Peer- reviewed) სამეცნიერო მონოგრაფია უცხო ენაზე (მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური, მთარგმნელობითი კვლევების ამსახველი მონოგრაფია), რომელიც ინდექსირებულია Scopus, SCImago Journal & Country Rank, ResearchGate-ის მიერ - მომზადდა და გამოქვეყნდა 44 ნაშრომი;
2. ქართულენოვანი ან სხვა ენაზე შესრულებული, რეცენზირებული (რეცენზირების მქონე Peer-reviewed) მონოგრაფია (მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური, მთარგმნელობითი კვლევების ამსახველი მონოგრაფია) - 83 ნაშრომი;
3. სხვა - 82 ნაშრომი.




2023 წლის მონაცემებით, გამოგონებები/პატენტების კატეგორიაში, მედიცინისა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის მიერ შექმნილია 6 პატენტი:

1. სისხლის მოპულსირე ნაკადის შემქმნელი მოწყობილობა, № U 2023 2149 Y;
2. ორგანიზმიდან ტყვიის გამოდევნისა და მისი უარყოფითი ზემოქმედების საპროფილაქტიკო კომ-პოზიცია, პატენტი № U 2020 2032 Y;
3. ხელოვნური სისხლნაკადის მართვის პორტატიული მოწყობილობა № U 2022 2139 Y სასარგებლო მოდელი;
4. მოპულსირე სისხლნაკადის შემქმნელი მოწყობილობა №U 2023 2149 Y6;
5. ულტრაიისფერი სხივის თანხლებით მაგნეტრონული გაფრქვევით თხელი ფირების მიღების მეთოდი“ №AP 16309;
6. ულტრაიისფერ დიაპაზონში მომუშავე ფოტომიმღების შექმნის მეთოდი, AP 16340.

რაც შეეხება ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით საგრანტო პროექტებში მონაწილეობას, 2023 წლის მდგომარეობით ფაკულტეტების პერსონალიდან ჩართულა 531 პირი.

პერსონალის თვითშეფასების კითხვარების (როგორც მოწვეული, ისე აკადემიური პერსონალის) შესწავლით ირკვევა, რომ თსუ-ის ფაკულტეტების პერსონალი აქტიურად არის ჩართული სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. ისინი სისტემატურად აქვეყნებენ სტატიებს, როგორც ადგილობრივ (ქართულ), ისე საერთაშორისო მნიშვნელობის და უცხო ქვეყნების მაღალრეიტინგულ ჟურნალებში. სამეცნიერო სტატიების გარდა, შესაფასებელი აკადემიური წლის განმავლობაში, პერსონალის მიერ გამოიცა და ითარგმნა არაერთი სახელმძღვანელო და კომენტარი სხვადასხვა მიმართულებით. შეფასების შედეგებზე დაყრდნობით გამოვლინდა, რომ ფაკულტეტები ზრუნავენ სამეცნიერო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებაზე, რასაც ადასტურებს აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მაჩვენებელი. აკადემიური პერსონალის უმრავლესობა საანგარიშო პერიოდში აქტიურად იყო ჩართული სამეცნიერო-კვლევით საგრანტო პროექტებში, ეროვნულ თუ საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებსა და სიმპოზიუმებში. ფაკულტეტების პერსონალის მონაწილეობით საანგარიშო პერიოდში შექმნილია 6 პატენტი.

თსუ-ის ფაკულტეტების პერსონალის სამეცნიერო აქტივობების შეფასებისას გამოვლენილი ძლიერი მხარეებია:

- აკადემიური პერსონალის მაღალი სამეცნიერო პროდუქტიულობა, რაც დასტურდება WEB of Science-ის მაღალრეიტინგულ იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში და SCOPUS-ში გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობით;
- ფაკულტეტების ფარგლებში დაფინანსებულ კვლევით პროექტებში, სამეცნიერო ფორუმებში და კონფერენციებში აკადემიური და ასევე მოწვეული პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი;
- ფაკულტეტების ფინანსური მხარდაჭერა, რომელიც გამოიხატება პერსონალის, სტუდენტების დაფინანსებაში - საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა, მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ბაზაში სტატიების გამოქვეყნება, მობილობა და სხვა;

- სამივე საფეხურის სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო კვლევებსა და კონფერენციებში/ფორუმებში/სემინარებში და სხვ.;
- საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით საგრანტო პროექტებში პერსონალის მონაწილეობის მაღალი მაჩვენებელი;
- სასწავლო რესურსების მუდმივი განახლება (სახელმძღვანელოების შექმნა ან/და თარგმნა);
- თსუ-ში მოქმედი საერთაშორისო მრჩეველთა საბჭო, სადაც წარმოდგენილია მსოფლიოს მასშტაბით მაღალი რეიტინგის მქონე მეცნიერები და დიდი სამედიცინო პრაქტიკის მქონე მედიცინის მუშაკები.

ფაკულტეტების სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ფაკულტეტებიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე იდენტიფიცირდა რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება და შემუშავდა რიგი რეკომენდაციები მათ გასაუმჯობესებლად. კერძოდ, თსუ-ს ფაკულტეტები სამეცნიერო კვლევების განვითარების მიმართულებით საჭიროებენ მხარდაჭერას შემდეგი მიმართულებით:

- ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების გაძლიერებისთვის კვლევის ფინანსური მხარდაჭერის გაზრდა ფაკულტეტების ბიუჯეტებიდან;
- დამოუკიდებელი საბიუჯეტო ფონდის შექმნა სამეცნიერო კვლევების მიმართულებით;
- პატენტების შემუშავების მიმართულებით ფაკულტეტის პერსონალის მხარდაჭერის გაძლიერება;
- საერთაშორისო კონსორციუმების მოძიება და ფაკულტეტების ინტეგრირების ხელშეწყობა/ფაკულტეტების პერსონალთან თანამშრომლობის გაღრმავება;
- საერთაშორისო საგრანტო პროექტებში მონაწილეობის გაზრდა და ამ მიზნით, საგრანტო პროექტების მომზადებისთვის ტრეინინგების ჩატარება და ამ მიმართულებით ცოდნის გაღრმავება;
- ფაკულტეტზე არსებული სამეცნიერო ჟურნალების ჩართვა საერთაშორისო სარეიტინგო ბაზებში, რაც პერსონალს შესაძლებლობას მისცემს საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში გამოაქვეყნონ უფრო მეტი სტატია და აიმაღლონ ციტირების ინდექსი;
- ინფრასტრუქტურის უწყვეტი გაუმჯობესება სასწავლო და კვლევითი პროცესების ხელშეწყობისა და ეფექტიანად წარმართვისთვის.

## დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების შეფასება

2023 წლის 30 დეკემბრის მონაცემებით, თსუ-ს დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში მკვლევრის პოზიციაზე დასაქმებულია და სამეცნიერო აქტივობას ახორციელებს 830 პირი. მათ შორის, მთავარი მეცნიერი - 217, უფროს მეცნიერი - 287, მეცნიერი - 326.

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ შექმნილია 718 პუბლიკაცია, მათ შორის:

1. სამეცნიერო სტატია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში, რომელიც ინდექსირებულია Web of Science-ის მიერ; სამეცნიერო სტატია გამოქვეყნებული ჟურნალში, რომელიც აღიარებულია ERIH-ის (European Reference Index of the Humanities) მიერ - 129;
2. სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია Web of Science, Scopus, SCImago Journal & Country Rank, ResearchGate-ის მიერ - 133;
3. რეცენზირებული (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები სხვა საერთაშორისო ჟურნალებში, რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო, ასევე რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო კონტრიბუციისთვის; უცხოეთში გამოცემული ყველა სამეცნიერო სტატია, რომლებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - 206;
4. ქართველოლოგიურ დარგებში მოღვაწე სამეცნიერო პერსონალისთვის რეცენზირებული სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებული ქართულ სამეცნიერო ჟურნალებში, რომელთაც ჰყავთ ადგილობრივი სარედაქციო საბჭო და აქვთ ISSN კოდი - 235;
5. სხვა - 15.




წიგნი/მონოგრაფიის კატეგორიაში შესრულებულია 69 ნაშრომი. ხსენებული კატეგორია მოიცავს შემდეგ ქვეკატეგორიებს:

1. მაღალრეიტინგული რეცენზირებული (საერთაშორისო რეცენზირების მქონე Peer- reviewed) სამეცნიერო მონოგრაფია უცხო ენაზე (მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური, მთარგმნელობითი კვლევების ამსახველი მონოგრაფია), რომელიც ინდექსირებულია Scopus, SCImago Journal & Country Rank, ResearchGate-ის მიერ - მომზადდა და გამოქვეყნდა 11 ნაშრომი;
2. ქართულენოვანი ან სხვა ენაზე შესრულებული, რეცენზირებული (რეცენზირების მქონე Peer-reviewed) მონოგრაფია (მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური, მთარგმნელობითი კვლევების ამსახველი მონოგრაფია) - 43 ნაშრომი;
3. სხვა - 15 ნაშრომი.

სამეცნიერო საქმიანობას შემდეგი შეფასების კრიტერიუმის - სტატია საკონფერენციო მასალებში/თავი წიგნში ან კრებულში - რაოდენობის მიხედვით. სულ შემუშავებულია 319 სტატია, მათ შორის:

1. სტატიები/თავები წიგნში, საკონფერენციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულია Web of Science-ის ან Scopus-ის საკონფერენციო მასალების ციტირების ინდექსით - 54;
2. სტატიები/თავები წიგნში, საკონფერენციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - 231;
3. სხვა - 34

გამოგონებები, პატენტების კატეგორიაში, 2023 წლის მონაცემებით, 5 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ შექმნილია 13 პატენტი:

1. Spirulina platensis რეზისტენტულობის შენარჩუნების და ზრდის სტიმულირების ხერხი Cs137 გამა რადიაციის გამოყენებით - U 2023 2147 Y;
2. Spirulina platensis რეზისტენტულობა -180 °C-დან +100 °C ტემპერატურულ ინტერვალში - საქმის ნომერი16302/2;
3. ატომიზაციის ხარისხის მართვის მეთოდი და მოწყობილობა მის განსახორციელებლად - პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი: P 2023 7526 B გამოგონება;
4. დენგამტარი მასალების აორთქლების ხერხი ნანოზომის ნაწილაკების მისაღებად - GE P 2023 7564 B.
5. „სისხლის მოპულსირე ნაკადის შემქმნელი მოწყობილობა“. გამომგონებლები: ზურაბ ჩხაიძე; ნოდარ ხოდელი; ოთარ შენგელია; დავით სონღულაშვილი. სასარგებლო მოდელი - U 2023 2149 Y.

საქპატენტი. თბილისი. 2023;

6. ხელატური მიკროელემენტების დანამატი ფრინველთა კვებაში - U 2023 2158 Y;
7. ბაქტერიციდული ცეოლითური შემავსებლის მიღების ხერხი“ - საიდენტიფიკაციო კოდი: U 2023 2156 Y;
8. ნანოტექნოლოგიით მიღებული რთული, პროლონგირებული მოქმედების ცეოლითური სასუქი;
9. ბაქტერიციდული ცეოლითშემავსებლიანი ქაღალდის მიღების ხერხი - AU 2024 16482;
10. ნედლეულის ნარევი ფორიანი თბოსაიზოლაციო მასალის მისაღებად, AU 2021 15787;
11. Method for producing manganese sulfate monohydeate, G.Tsurtsumia, T. Lezhava, J.Shengelia, N.Koiava, D. Gogoli, L. Beriashvili EP 3967660B1 (პატენტში ერთ-ერთი განმცხადებელია თსუ);
12. შიგა წვის ძრავებიდან გამონაბოლქვი აირების გამწმენდი კატალიზატორი, GE U 2022 2134 Y;
13. S. Khutsishvili and others Modified nutrient medium for cultivation of potato plants based on Murashige-Skoog agar nutrient medium method for growing potato plants under aseptic conditions using this nutrient medium, RU 2794777 C1;

რაც შეეხება ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით საგრანტო პროექტებში მონაწილეობას, დამოუკიდებელი სამეცნიერო ინსტიტუტების მეცნიერ-თანამშრომლების ჩართულობის მაჩვენებელი 195-ია.



დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების წლიური ანგარიშებისა და მეცნიერ-თანამშრომლების თვითშეფასების კითხვარების შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ დიდია სამეცნიერო ინსტიტუტების წვლილი უნივერსიტეტის საერთაშორისო ცნობადობისა და რეიტინგის გაზრდაში. აღნიშნული დასტურდება საერთაშორისო სამეცნიერო კოლაბორაციებში მონაწილეობით, მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიებით, საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში (კონფერენციები, სემინარები, სიმპოზიუმები, სამუშაო შეხვედრები და ა.შ.) და ექსპერიმენტებში ჩართულობით. სამეცნიერო პერსონალის უმრავლესობა საანგარიშო პერიოდში აქტიურად იყო ჩართული სამეცნიერო-კვლევით საგრანტო პროექტებში. 2023 წლის განმავლობაში მათ მიერ შექმნილია 13 პატენტი, მათ შორის საერთაშორისოც.

თსუ-ის სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო აქტივობების შეფასებისას გამოვლენილი ძლიერი მხარეებია:

- მეცნიერ-თანამშრომლების მაღალი სამეცნიერო პროდუქტიულობა, რაც დასტურდება WEB of Science-ის მაღალრეიტინგულ იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში და SCOPUS-ში გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობით;
- სამეცნიერო ფორუმებში, ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებსა და სიმპოზიუმებში სამეცნიერო პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი;
- საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით საგრანტო პროექტებში სამეცნიერო პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებელი;
- საერთაშორისო სამეცნიერო კოლაბორაციებსა და ექსპერიმენტებში მონაწილეობის მაჩვენებელი.

ინსტიტუტების სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, იდენტიფიცირდა რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება და შემუშავდა რიგი რეკომენდაციები მათ გასაუმჯობესებლად. კერძოდ, თსუ-ის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტები სამეცნიერო კვლევების განვითარების მიმართულებით საჭიროებენ მხარდაჭერას შემდეგი მიმართულებით:

- სამეცნიერო კვლევების ფინანსური მხარდაჭერის გაზრდა;
- დამოუკიდებელი საბიუჯეტო ფონდის შექმნა სამეცნიერო კვლევების მიმართულებით;
- საკანონმდებლო დონეზე შესყიდვების პროცესების გამარტივება;
- პატენტების შემუშავების მიმართულებით სამეცნიერო პერსონალის მხარდაჭერის გაძლიერება;
- საგრანტო პროექტებში მონაწილეობის გაზრდა და ამ მიზნით, საგრანტო პროექტების მომზადებისთვის ტრეინინგების ჩატარება;
- ინფრასტრუქტურის უწყვეტი გაუმჯობესება კვლევითი პროცესების ხელშეწყობისა და ეფექტიანად წარმართვისთვის.

### 2.1.4 სტუდენტთა მონაწილეობა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში

ხარისხის უზრუნველყოფის მოქმედი როგორც ავტორიზაციის ისე აკრედიტაციის სტანდარტები გულისხმობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თითოეული რგოლის აქტიურ ჩართულობას ინსტიტუციური განვითარების პროცესში, მათ შორის სტუდენტები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა ზემოხსენებული პროცესების. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სხვადასხვა ფორმით ცდილობს ხარისხის კულტურა გააზიაროს აკადემიურ სივრცეში. ის მოტივაციას აძლევს სტუდენტებს გახდნენ საუნივერსიტეტოს ცხოვრების აქტიური თანამონაწილეები სხვადასხვა ტიპის შეთავაზებით. გარდა იმისა, რომ სტუდენტები მონაწილეობენ უნივერსიტეტის სხვადასხვა საფეხურის ადმინისტრირების პროცესებში, მათ შესაძლებლობა ეძლევათ ჩაერთონ აკადემიური პროგრამების მომზადებასა და განვითარებაში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სტუდენტებს სთავაზობს:

- მონაწილეობას საუნივერსიტეტო გამოკითხვებსა და კვლევებში;
- ჩართულობას პროგრამის მხარდამჭერი კომიტეტის სამუშაო პროცესში;

- აქტივობას ხარისხის შიდა და გარე შეფასების (მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების კოლეგიალური შეფასების, ავტორიზაციის, აკრედიტაციის) პროცესებში;
- პრაქტიკას ხარისხის უზრუნველყოფის როგორც ცენტრალურ, ისე საფაკულტეტო სამსახურში (მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ***განათლების მეცნიერების*** პრაქტიკული ფარგლებში) გამოცდილების მიღების მიზნით;
- სტაჟირებას ხარისხის უზრუნველყოფის როგორც ცენტრალურ, ისე საფაკულტეტო სამსახურში;
- მონაწილეობას გარე შეფასების სტუდენტ ექსპერტთა კონკურსში;
- ჩართულობას უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებები ავტორიზაციის საბჭოებში გამოცხადებულ კონკრუსებში სტუდენტის ქვოტით.

2024 წლის საანგარიშო პერიოდშიც აქტიურ თანამშრომლობას ეწეოდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სტუდენტებთან:

- საუნივერსიტეტოს კვლევებსა და გამოკითხვებში გამოხმაურება ჰქონდა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტთა 89%-ს;
- საგანმანათლებლო პროგრამების (რე)აკრედიტაციის, დაგეგმვისა და შემუშავების მხარდამჭერი კომიტეტების მუშაობაში (უნივერსიტეტში არსებულ 213 საგანმანათლებლო პროგრამის მუშაობაში ჩართულია 57 პროგრამული კომიტეტი. (ზუსტი და საბუნებისმეტყველო - 11, ჰუმანიტარული მეცნიერებები - 25, ეკონომიკა და ბიზნესი - 4, მედიცინა - 3, იურიდიული - 6, ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები - 2, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებები - 6), მათ შორის 9 ინდივიდუალური (ზუსტი და საბუნებისმეტყველო - 2, ჰუმანიტარული მეცნიერებები - 3, იურიდიული - 4.), 47 სწავლის სფეროების კლასიფიკატორის (ზუსტი და საბუნებისმეტყველო - 9, ჰუმანიტარული მეცნიერებები - 22, ეკონომიკა და ბიზნესი - 3, მედიცინა - 3, იურიდიული - 2, ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები - 2, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებები - 6), ხოლო 1 (ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა - ISET) ინსტიტუციური პრინციპის შესაბამისი.), მათ შორის სამივე საფეხურის 150 სტუდენტი;
- ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების შიდა შეფასების პროცესებში. სახელდობრ, 2024 წელს შიდა შეფასების პროცესში მონაწილეობა მიიღო 53 სტუდენტმა, როგორც პროგრამის მხარდამჭერი კომიტეტის წევრმა, ხოლო 500-მდე სტუდენტმა, როგორც შეფასებაში მონაწილე პირმა.
- 2024 წელს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ***განათლების მეცნიერებები*** 1 მაგისტრანტი სასწავლო პრაქტიკას გადიოდა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, რომელსაც დავალებები ეძლეოდა თემატურად და ინდივიდუალურად.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობის შეჯერების საფუძველზე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახალ საანგარიშო პერიოდში გეგმავს: ***სტუდენტთა მონაწილეობის გაფართოებას ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში ჩართულობაში.***

### 2.1.5 ნორმატიული დოკუმენტების შესწავლის, კომენტირებისა და განხილვისათვის

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს გარე აქტორებთან, ჩართულია არაერთ საკანონმდებლო სიახლის განხილვაში და შემდგომში ახდენს საკანონმდებლო სიახლეების ასახვას შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციებში. აქტიურია ასევე საპილოტე პროექტების განხილვაში, აზიარებს სიახლეებს საუნივერსიტეტოს სივრცესა და აკადემიურ სივრცეში და ინსტიტუციაში მოქმედ განათლებისა და დარგობრივი ექსპერტების მხარდაჭერით გეგმავს ტრენინგებსა და შეხვედრებს აკადემიური და მოწვეული, ისევე როგორც ადმინისტრაციული პერსონალისთვის.

საანგარიშო პერიოდში სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დაიგეგმა და განხორციელდა მთელი რიგი ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები და სემინარები, რომელზეც განხილული

იყო ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში დაანონსებული ცალკეული სიახლე და ინოვაცია, მათ შორის უნდა დასახელდეს:

- *ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მონიტორინგის გეგმის პროექტის განხილვა* (**10.06.2024**);
- *ERASMUS+-ის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული საპროექტო განაცხადით - „საქართველოს კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს განხორციელების შესაძლებლობების გაძლიერება რეფერენსირებისა და თვითსერტიფიცირების პროცესების საშუალებით“ განსაზღვრული და შემუშავებული პროექტის კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის შექმნისა და დანერგვის ხელშეწყობა-განხილვა* (**30.09.2024**);
- *პროექტის „საქართველოს კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს განხორციელების შესაძლებლობების გაძლიერება რეფერენსირებისა და თვითსერტიფიცირების პროცესების საშუალებით“ განხილვა* (**02.10.2024**)*;*
- *პროექტის „კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის შექმნა და დანერგვის ხელშეწყობა“ განხილვა* (**02.10.2024**);
- *ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან ჰარმონიზაციის მიზნით საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფერენსირებისა და თვითსერტიფიცირების მიზნით ერაზმუს + პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით შემუშავებული პროექტის: „საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფერენსირების და თვითსერტიფიცირების პროცესების განხორციელების შესაძლებლობების გაძლიერება (GEOREF)“ განხილვა* (**22.10.2024**);
- *ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მონიტორინგის ანგარიშის განხილვა* (**02.12.2024**);

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეისწავლა და კომენტარები დაურთო, ისევე როგორც უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა დარგობრივი ექსპერტის სტატუსით მონაწილეობა მიიღო განხილვებში:

- ✓ 2024 წელს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დარგობრივი საბჭოების მიერ შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებს (გარემოსმცოდნეობის, ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიები, სპეციალური მასწავლებლის მომზადების, მეანობა), რომელთა ნაწილზე დასრულებულია მუშაობა, ნაწილზე ამჟამადაც გრძელდება სამუშო პროცესი;
- ✓ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის.

უნივერსიტეტის დარგის ექსპერტთა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული ცალკეული რეკომენდაციები და რჩევები წერილობით იქნა მიწოდებული გარე აქტორების შესაბამის სამსახურებთან. მაღალი იყო ასევე მათი ჩართულობა დოკუმენტების საჯარო განხილვის პროცესში.

ცალკეული საკანონმდებლო ცვლილებები დაედო საფუძვლად საუნივერსიტეტოს რეგულაციებს, მათ შორის უნდა აღინიშნოს ***დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის*** განახლება, რის მიხედვით განახლდა დოქტორანტურის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები და დოქტორანტურის საფაკულტეტო დებულებები, კერძოდ, საანგარიშო პერიოდში თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით მომზადდა დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის განახლებული რედაქცია. ცვლილების საფუძველს წარმოადგენდა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სადოქტორო სწავლების შეფასების განახლებული აკრედიტაციის სტანდარტი. დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის განახლებისა და ახალი რედაქციის დამტკიცების იურიდიული საფუძველი გახდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №141/ნ („უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“) და შესაბამისად დამტკიცებული „სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტი“.

დოქტორანტურის მინიმალურ სტანდარტზე მუშაობა მიმდინარეობდა მიმდინარე წლის ნოემბერ-დეკემბერში და პროცესი გამოირჩეოდა საუნივერსიტეტო საზოგადოების ფართო ჩართულობით. კერძოდ,

მინიმალური სტანდარტის შემუშავებისა და განახლების პროცესში ჩართული იყო თსუ-ს შვიდივე ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები, სადისერტაციო საბჭოს აპარატის წარმომადგენლები, უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი.
განხორციელებული ცვლილებები შეეხო დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის შემდეგ დანართებს:

1. **დანართი N1. დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი:** მუხლი 3. დოქტორანტურაში სწავლის უფლება; მუხლი 5. სამეცნიერო ხელმძღვანელი; მუხლი 6. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პერსონალი; მუხლი 7. დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები; მუხლი 8. დისერტაცია; მუხლი 9. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის პროცედურა; მუხლი 10. საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნების ვალდებულება; მუხლი 11. სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები; მუხლი 12. დისერტაციის დაცვა; მუხლი 13. დისერტაციის შეფასება; მუხლი 14. ხარისხის მინიჭება და სადისერტაციო ნაშრომის გამოქვეყნების ვალდებულება; მუხლი 15. გარდამავალი დებულებები.
2. **დანართი 2. უცხოური ენის ცოდნის დონეების განმარტება:** დაემატა B1 დონის განმარტება და აღწერა ინგლისური ენის შემთხვევაში.
3. **დანართი 5. რეკომენდაციები სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურისათვის:** დაზუსტდა დანართის პირველი პუნქტის 1.2 ქვეპუნქტის ჩანაწერი სადისერტაციო ნაშრომის აბსტრაქტის/რეზიუმეს ენობრივ ნაწილთან მიმართებით.
4. **დანართი 7. შემაჯამებელი ანგარიში დოქტორანტის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ:** ზოგადი ინფორმაციის ნაწილს დაემატა ჩანაწერი სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელების შესახებ.
5. **მინიმალური სტანდარტის დანართების რაოდენობას დაემატა 2 დანართი:** დანართი 11 - დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე კანდიდატთა ჩარიცხვის პროცედურების გასაჩივრება და დანართი 12 - დისერტაციის დაცვის პროცედურების გასაჩივრება.

განახლებული დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი დამტკიცდა 2024 წლის 13 დეკემბრის აკადემიური საბჭოს დადგენილება N138/2024-ით „დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ“.
2024 წლის საანგარიშო პერიოდში განახლდა, შეიცვალა ან შემოღებულ იქნა ცალკეული საუნივერსიტეტო წესი, რეგულაცია, დებულება, რომელთა გააქტიურება აორგანიზებს ან არეგულირებს სწავლა-სწავლების, კვლევის, ადმინისტრირებისა და მართვის პროცესებს, მათ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესრულებული კვლევითი კომპონენტის აღიარების წესის დამტკიცების წესი (22/01/2024, N8/2024);

- ✓ ცვლილებები სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (22/02/2024, N21/2024);
- ✓ სტრატეგიული განვითარების გეგმა (22/02/2024, N22/2024);
- ✓ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია (22/02/2024, N24/2024);
- ✓ კრედიტების აღიარებისა და გაანგარიშების წესი (22/02/2024, N25/2024);
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება (29/03/2024, 45/2024);
- ✓ შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის წესი (24/12/2024, 142/2024).

## 2.2 ხარისხის გარე უზრუნველყოფა

ხარისხის გარე უზრუნველყოფის სრულყოფილ და ეფექტურ მართვას მეტწილად განაპირობებს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სრულყოფილი მექანიზმის შექმნა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. მოცემულ პროცესებში უნივერსიტეტის საქმიანობა დიდწილად დამოკიდებულია გამჭვირვალეობასა და ანგარიშვალდებულებაზე შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების მიმართ. ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ორი მიმართულებით ვითარდება:

- გარე განმავითარებელ შეფასებათა ციკლი უნივერსიტეტში;

- მზადება საგანმანათლებლო პროგრამების (რე)აკრედიტაციის პროცესისათვის.

### 2.2.1 გარე განმავითარებელ შეფასებათა ციკლი უნივერსიტეტში

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს საანგარიშო პერიოდში სამუშაო გეგმის მიხედვით გაიწერა გეგმიური კლასტერული და ინდივიდუალური აკრედიტაციის, გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის პროცესები. ამ მიზნით დაიგეგმა კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამების გადამუშავება, ისევე როგორც აკრედიტაციის დამასრულებელ ფაზაში საგანმანათლებლო პროგრამებში აკრედიტაციის საბჭოსა და ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციებზე, სწავლის სფეროების კლასიფიკატორთა საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობის დადგენისა და პროგრამის განვითარების შეფასების მიზნით მოსამზადებელი ანგარიშების პროცესები.

2024 წელს დასკვნითი სამუშაოები მომზადდა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების (ბიზნესის ადმინისტრირება) კლასტერის ახალი ეტაპისათვის. წინამდებარე წელს შეფასდა 9 საგანმანათლებლო პროგრამა (რე)აკრედიტაციის მიზნით, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 71-მა პირმა. ეკონომიკისა და ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტმა წარადგინა 1 (8-პროგრამიანი კლასტერი: ბიზნესის ადმინისტრირება (სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები), აღმასრულებელი ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრატურის 4 საგანმანათლებლო პროგრამა 1 დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა) და ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) 1 ინგლისურენოვანი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა ***ფინანსები*** ინდივიდუალური აკრედიტაციის ფორმატში. ანალოგირუი პროცესები განხორციელდა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის 1 საგანმანათლებლო პროგრამაზე და ფისქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების მასწავლებლის მომზადების 1 საგანმანათლებლო პროგრამაზე.

უმაღლესი განათლების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემულ რეკომნედაციებზე დაწესებულებამ წარადგინა 11 საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიში, საგანმანათლებლო პროგრამების სამწლიანი ანგარიშები განმავითარებელი შეფასების მიზნით მომზადდა 15 საგანმანათლებლო პროგრამაზე, ხოლო ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან შესაბამისობის დადგენის მიზნით - 1 საგანმანათლებლო პროგრამაზე.

მოცემულ ეტაპზე შეფასების წარმოება პრაქტიკულად დასრულებული ყველა წარდგენილ საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშზე, გარდა ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან შესაბამისობისა და გეგმიური ანგარიშის ფარგლებში წარდგენილი 2 საგანმანათლებლო პროგრამისა.

### 2.2.2 უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების (რე)აკრედიტაციის პროცესი

საგანმანათლებლო პროგრამების (რე)აკრედიტაციამდე, თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, საფაკულტეტოს სამსახურთან და საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტებთან თანამშრომლობით გეგმავს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცესს, რომელსაც კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის განყოფილება. სააკრედიტაციო პროცესში ჩართულია საგანმანათლებლო პროგრამით დაინტერესებული ყველა პირი, საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები, უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუტურულ ერთეულებში დასაქმებული პროგრამული აკრედიტაციის ექსპერტები, საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირები, სტუდენტები და სხვა დაინტერესებული პირები.

2024 წლის ცვლილებების მაჩვენებელი ფაკულტეტების მიხედვით შემდეგია: უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს (13 სხდომაზე) წინაშე წარდგენილი იყო 7 ფაკულტეტის 205 საგანმანათლებლო პროგრამის 377 სხვადასხვა ტიპის ცვლილება; (რე)აკრედიტაციის მიზნით დამტკიცდა 3 კლასტერი (16 პროგრამა) და 5 ინდივიდუალური პროგრამა; დამტკიცდა 4 რედაქტირებული საუნივერსიტეტო შიდა რეგულაცია და გაუქმდა 10 საგანმანათლებლო პროგრამა.). ცვლილებების დეტალური ანალიზის თანახმად სტატისტიკა აჩვენებს, რომ მინიმალურია ცვლილებები მედიცინისა და იურიდიული ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში. ძირითადი ცვლილებები წინამდებარე დარგების საგანმანათლებლო პროგრამებში მოდის

არჩევითი სასწავლო კურსების შეთავაზებაზე წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამებში, რაც განპირობებულია მეტწილად მათი რეგულირებადი ხასიათით.
პერიოდულად საგანმანათლებლო პროგრამებმა განიცადეს კონკრეტული ცვლილებები. საანგარიშო პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამებში მიმდინარე ცვლილებების განხორციელების საფუძველი გახდა:

- ✓ ცვლილებები კანონმდებლობაში ან საუნივერსიტეტო რეგულაციებში;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსა და აკრედიტაციის ექსპერტთა (გარე შემფასებელთა) რეკომენდაციები;
- ✓ შიდა და გარე კოლეგიალური შეფასების შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები;
- ✓ დარგში განხორციელებული ცვლილებები სწავლებისა და კვლევის მიმართულებით, რომელიც ინიცირებული იყო პროგრამის განმახორციელებელი პირების მხრიდან და ემყარებოდა მათ ადგილობრივ, თუ საერთაშორისო გამოცდილებას;
- ✓ სტუდენტთა გამოკითხვების შედეგების ანალიზი;
- ✓ სწავლის შედეგების ანალიზი;
- ✓ შრომისა და განათლების ბაზრის მოთხოვნები;
- ✓ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის არეალის გაფართოება.

2023 სასწავლო წელს დასრულდა ბისზნეს ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაცია. საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამების ბაზას დაემატა 5 ახალი საგანმანათლებლო პროგრამა (მათ შორის: 1 ბაკალავრიატის, 3 მაგისტრატურის, 1 დოქტორანტურისა და 1 სპეციალური მასწავლებლის მომზადების); რეაკრედიტებულია: 29 საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის: 16 ბაკალავრიატის, 11 მაგისტრატურის, 3 დოქტორანტურის საფეხურის): ჩარჩოსთან თავსებადობის ფარგლებში არაგეგმიური მონიტორინგს დაექვემდებარა 3 საგანმანათლებლო პროგრამა (1 ბაკალავრიატის, 2 დოქტორანტურის), ხოლო გეგმიური მონიტორინგი გაიარა სამწლიანი შუალედური ანგარიშების წარდგენით 4 საგანმანათლებლო პროგრამამ (1 ბაკალავრიატის, 1 მაგისტრატურის, 2 დოქტორანტურის); რაც შეეხება 2022 წელს აკრედიტებულ პროგრამებს, მათგან 9 ერთეული წარდგენილი იყო ანგარიშებით აკრედიტაციის საბჭოს წინაშე (1 ბაკალავრიატის, 8 მაგისტრატურის).
საანგარიშო პერიოდში განახლებული სტანდარტებით მოთხოვნილი მოდიფიცირებული დოკუმენტებისა და ახალი საკომუნიკაციო პროცედურების დაცვით უნივერსიტეტმა მოამზადა და ეტაპობრივად შესაბამისი პროცედურების გასავლელად წარადგინა 50 საგანმანათლებლო პროგრამა:

- აკრედიტაციის მიზნით - 5 ახალი საგანმანათლებლო პროგრამა (1 ბაკალავრიატის (ბიზნესის ადმინისტრირება/180 კრედიტიანი; 3 მაგისტრატურის, ეროვნული უსაფრთხოება, დემოგრაფიული პოლიტიკა და მიგრაციები და 2 აღმასრულებელი ბიზნესის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები: საექსპორტო სტრატეგიების მენეჯმენტი, ხელოვნების მენეჯმენტი; 1 დოქტორანტურის: კულტურული პერსონოლოგია, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია და მიგრაციის კვლევები (ინგლისურენოვანი) და 1 სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
- რეაკრედიტაციის მიზნით - 6 საგანმანათლებლო პროგრამა (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი - 1 კლასტერი (1 ბაკალავრიატი, 3 მაგისტრატურა, 1 დოქტორანტურა) და 1 მაგისტრატურის ინგლისურენოვანი პროგრამა ინდივიდუალური განაცხადით);
- ჩარჩოსთან შესაბამისობის მიზნით - მაგისტრატურის 1 საგანმანათლებლო პროგრამა (იურიდიული ფაკულტეტი);
- გეგმიური სამწლიანი ანგარიში - 15 საგანმანათლებლო პროგრამა (2 ბაკალავრიატი - საერთაშორისო სამართალი და ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია; 4 მაგისტრატურა - საერთაშორისო სამართალი/ინფორმაციული ტექნოლოგიები/ინფორმაციული სისტემები/საზოგადოებრივი ჯანდაცვა; 4 ერთსაფეხურიანი: მედიცინა/მედიცინა (ინგლისურენოვანი)/სტომატოლოგია/სტომატოლოგია (ინგლისურენოვანი)/; 5 დოქტორანტურა -

ელექტრული და ელექტონული ინჟინერია/კომპიუტერული მეცნიერება/ეკონომიკა/კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა/საზოგადოებრივი ჯანდაცვა;

- აკრედიტაციის შემდგომი პროცესის ანგარიშები - 11 საგანმანათლებლო პროგრამა (4 ბაკალავრიატი; 4 მაგისტრატურა და 3 დოქტორანტურა).

ყველა ზემოთ დასახელებული გარე შეფასების პროცესი იყო დაგეგმილი და წინასწარ განსაზღვრული, შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში ყველა დაგეგმილი გარე შეფასება დასრულებულია, გარდა 1 მაგისტრატურის საგანმანთლებლო პროგრამის, რომელიც წარდგენილია ჩარჩოსთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

საანგარიშო პერიოდში მზადდებოდა ახალი თემატური კლასტერი, რომლის განხილვა დაგეგმილია 2025 წელს. კერძოდ, კი მასწავლებლისა და განათლების მეცნიერებები საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული შეფასება.

## 3. ინსტიტუციური განვითარების შესახებ

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არსებულ საერთაშორისო სტანდარტებზე, ევროპულ მეთოდებსა და სისტემურ გამოცდილებაზე დაყრდნობით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტში მიმდინარე აკადემიურ პროცესებს, ყურადღებას ამახვილებს მნიშვნელოვან თემებზე, აგროვებს სხვადასხვა სახის ინფორმაციას, აანალიზებს მათ. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს რეგულარული ინსტიტუციური შეფასება, რაც შესაძლოა მიზნობრივად შეივსოს კონკრეტული აქტუალური თემებისა და პრობლემატიკის ზოგადი კვლევების შედეგებით.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ ინსტიტუციური განვითარების ფარგლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- ✓ ავტორიზაციის პროცესის მომზადება;
- ✓ უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება;
- ✓ ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციის ინსტიტუციური შეფასების პროგრამის (IEP) შეფასების თანმდევი ანგარიშის მომზადება;
- ✓ საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში უნივერსიტეტის მონაწილეობის მხარდაჭერა;
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში;
- - „კვლევის პასუხისმგებლიანად წარმართვა - კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში“ (ETHICS);
- - ტრენინგების სერია პროექტის ETHICS ფარგლებში;
- - აშშ პროგრამა University Capacity Building Program (UCBP);
- ➢ აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა;
- ➢ პერსონალის განვითარების მხარდაჭერა;
- ➢ სიახლეები პროფესიული განათლების ცენტრში;
- ➢ თანამშრომლობა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან;
- ➢ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდის განახლება და ინფორმაციული შევსება;

### 3.1 ავტორიზაციის პროცესი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ავტორიზაციის პროცესი გაიარა 2024 წელს და მიენიჭა ავტორიზაცია 6 წლის ვადით (იხ. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 09 სექტემბრის №1090708 გადაწყვეტილება). ამასთან, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 28 433-ით.

იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტისთვის მინიჭებული ავტორიზაციის ვადა (6 წლიანი) იწურებოდა 2024 წლის 27 აგვისტოს, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჯერ კიდევ 2023 წლის აპრილში დაიწყო მზადება, მისი უფლებამოსილების ფარგლებში, ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიშის შემუშავების მიზნით.

პირველ ეტაპზე მომზადდა შესასრულებელი საქმიანობის გეგმა და დროში გაიწერა კონკრეტული აქტივობები, კერძოდ:

- ავტორიზაციის სტანდარტების განხილვა და პასუხისმგებლობების გადანაწილება;
- მონაცემების შეგროვება და ანალიზი;
- საჭირო კვლევებისა და გამოკითხვების უზრუნველყოფა;
- თვითშეფასების ანგარიშის სამუშაო ჯგუფის ფორმირება;
- თვითშეფასების ანგარიშის პროექტის მომზადება;
- თვითშეფასების ანგარიშის განხილვა და უკუკავშირის მიღება;
- თვითშეფასების ანგარიშის საბოლოო სახით წარდგენა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსხურმა თვითშეფასების ანგარიშის შემუშავების მიზნით თითოეულ სტანდარტზე განსაზღვრა პასუხისმგებელი პირები და შესაბამისი სამუშაო ჯგუფი. კერძოდ, თითოეული

სტანდარტით განსაზღვრული საჭირო ინფორმაციის თუ მტკიცებულებების შეკრებას, მათ შორის საჭირო შეხვედრებს, კოორდინირებას უწევდა შექმნილი ჯგუფი (გარდა პირველი სტანდარტისა). თითოეულ ჯგუფს კოორდინირებას უწევდა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი, რომლის შემადგენლობაში იყო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომლები და შესაბამისი ადმინისტრაციულ-სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფების საქმიანობა გაგრძელდა საბოლოო თვითშეფასების ჯგუფის ფორმირებამდე, რომელიც ჩამოყალიბდა რექტორის 2024 წლის 18 იანვრის N13-01-01 ბრძანებით. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა ყოფილიყო მაქსიმალურად ფართო და ყოვლისმომცველი, რათა სრულყოფილად და ობიექტურად შეფასებულიყო თვითშეფასების ანგარიშში აღწერილი ინფორმაცია, კრიტიკულად გაანალიზებულიყო მტკიცებულებები და ა.შ.

სამუშაო ჯგუფმა გამართა არაერთი შეხვედრა, სადაც თითოეულ სტანდარტთან მიმართებით განისაზღვრა უნივერსიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეები, განვითარების შესაძლებლობები და რისკები. პირველ რიგში მოხდა იმ გამოწვევებისა და რისკების კრიტიკული ანალიზი, რომლებზეც მუშაობა უნდა წარმართულიყო მომდევნო პერიოდებში. გაანალიზდა როგორც ცენტრის ექსპერტების შეფასებები და კონკრეტულ რეკომენდაციებზე დაყრდნობით, ისევე როგორც დამოუკიდებელი საერთაშორისო ექსპერტებისა და პარტნიორების რჩევების საფუძველზე მომზადდა ცვლილებების პაკეტი, განისაზღვრა ძირითადი აქტივობები და საავტორიზაციო გეგმის გათვალისწინებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხარდაჭერით საუნივერსიტეტო ადმინისტრაციისა და მისი შემადგენელი ერთეულების ხელშეწყობით მომზადდა და ძალაში შევიდა ცალკეული ცვლილება.

სამუშაო შეხვედრების პროცესში შეგროვდა თსუ-ს განახლებული რაოდენობრივი მონაცემები, მონაცემებზე დაყრდნობით გაკეთდა ანალიზი და ანალიზის შედეგები აისახა შესაბამის ანგარიშებში. ამ პროცესში, საჯარო განხილვების შემდგომ დამტკიცდა სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა, ასევე ცვლილებებს დაექვემდებარე უნივერსიტეტის შიდა რეგულაციები, რომლებიც შესაბამისობაში მოვიდა ავტორიზაციის განახლებულ სტანდარტებთან, შესაბამის პროცესებსა და სამართლებრივ ბაზასთან.

საუნივერსიტეტო საზოგადოებასთან სხვადასხვა ინფორმაციის გაზიარებისა და საბოლოო პოზიციების ურთიერთ შეჯერების საფუძველზე მიღებული თვითშეფასების ანგარიში, შესაბამისი მტკიცებულებებისა და ინდიკატორების პორტფოლიოსთან ერთად, წარდგენილ იქნა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2024 წლის თებერვალში.

**ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება.** თსუ-ში 18-22 ივნისს შედგა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი, რომელმაც ჩაატარა 20 პანელური და 4 პარალელური სესია უნივერსიტეტის სხვადასხვა საფეხურის მენეჯმენტთან, აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დირექტორებთან, სტუდენტებთან, დოქტორანტებთან, კურსდამთავრებულებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე მოინახულა ორი სამედიცინო კლინიკა, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, მუზეუმი, რამდენიმე ლაბორატორია, აუდიტორიები და სპორტული დარბაზი. ადგილზე ვიზიტი, ისევე როგორც საავტორიზაციო ანგარიში და შესაბამისი პორტფოლიო სრულყოფილად იყო მომზადებული და ორგანიზებული, რაც აღინიშნა კიდეც ექსპერტთა დასკვნაში.

თსუ ავტორიზაციის თვითშეფასებაზე ექსპერტების მიერ მოცემული იყო 9 რეკომენდაცია და 12 რჩევა. აღნიშნულთან დაკავშირებით სამსახურმა მოამზადა არგუმენტირებული პასუხი ექსპერტთა დასკვნის პროექტზე და საჯარო განხილვისას წარდგენილ იქნა ავტორიზაციის ექსპერტთა და საბჭოს წინაშე.

საუკეთესო პრაქტიკის შეჯამებისას აღინიშნა:

- ღიაობა და ჩართულობა *მესამე მისიის* პასუხისმგებლობის მიმართ;
- *ტრადიციისა და მოდერნიზაციის* დაბალანსება;
- *კულტურული მემკვიდრეობის ცენტრის* იმიჯის მქონე დაწესებულებად თავის წარმოჩენა;
- *მობილობის პორტალი* საგარეო ურთიერთობების დეპარტამენტში, სადაც იტვირთება ყველა საჭირო დოკუმენტი და ავტომატურად იქმნება გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პროფილები;

- ***საერთაშორისო მრჩეველთა საბჭო***, რომელიც შეიქმნა 2020 წელს მედიცინის ფაკულტეტზე, მედიცინის სხვადასხვა დარგის წამყვანი სამედიცინო ექსპერტების ნებაყოფლობითი საბჭო;
- ***სტუდენტების ინდივიდუალური კონსულტაციის სისტემა*** აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით - დოქტორანტები ატარებენ სემინარებს, დამატებით გაკვეთილებსა და კონსულტაციებს უწევენ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს;
- პერსონალის მართვის დეპარტამენტის მიერ კოორდინირებული ***სტაჟირება*** კურსდამთავრებულებისა და ახალგაზრდა სპეციალისტებისთვის;
- კარიერული ცენტრის ***კარიერული მართვის მენტორული პროგრამა*** სტუდენტებს უზიარებს ცოდნასა და გამოცდილებას კარიერული მართვის მიმართულებით, ყველა ნაშრომი მოწმდება მსგავსებაზე Turnitin პროგრამის გამოყენებით და სტუდენტებს უფლება აქვთ შეამოწმონ თავიანთი ნამუშევრები ამ ინსტრუმენტის საშუალებით;
- უნივერსიტეტში მოქმედებს ***ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრი***, რომელიც სტუდენტებს სტრესის დაძლევაში ეხმარება.

[უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 09 სექტემბრის №1090708 გადაწყვეტილების](#) საფუძველზე სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ უსდ-ის ავტორიზაციის საბჭომ დაადგინდა:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 204864548) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 28 433-ით, მათ შორის: დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე (ინგლისურენოვანი) სტუდენტების ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 1 000-ით, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე (ქართულენოვანი) სტუდენტების ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 1 000-ით.
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 1).
3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2024 წლის 26 აგვისტოს.

ავტორიზაციის შემდგომ პროცესებს აკვირდება და მართავს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინსტიტუციური კვლევებისა და განვითარების განყოფილება, რომელიც ძირითადად მართავდა ავტორიზაციის პროცესსაც. ავტორიზაციის პროცედურისა გასრულების შემდეგ განყოფილებამ დაგეგმა შემდგომი ღონისძიებები, რომელიც აისახება დაწესებულების სამწლიან შუალედურ ანგარიშში და დაფარავს ყველა იმ რეკომენდაციას და განიხილავს დაწესებულების განვითარებისთვის მნიშვნელოვან რჩევებს, გაცემულს ავტორიზაციის ექსპერტთა პანელის მიერ.

## 3.2 უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2024-2030)

თსუ-მ სტრატეგიული გეგმის პროექტის შემუშავების მიზნით ჯერ კიდევ 2023 წლის ივლისში შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანიც იყო თსუ-ს 2024-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტის ძირითადი კონტურების გამოკვეთა.

ჯგუფის საქმიანობის თანადროულად, თსუ-მ წამოიწყო რამდენიმე მნიშვნელოვანი კვლევა, რომლებიც დაიწყო 2023 წელს და გაგრძელდა 2024 წელს. კვლევები მოიცავდა:

- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზს;
- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას;
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლების კმაყოფილების კვლევას.

ახალი სტრატეგიული გეგმის მომზადებას, გარდა კვლევებისა, წინ უსწრებდა ძველი სტრატეგიული გეგმის ანალიზი, შეხვედრები ფოკუს ჯგუფებთან და ცალკეული კვლევის შემავსებელი პროცედურების დაგეგმა. წინამდებარე აქტივობების შედეგები შეიკრიბა სტრატეგიაზე მომუშავე ჯგუფის მიერ, შემუშავდა კრიტიკული ანალიზი, რომელიც განხილულ იქნა საუნივერსიტეტო თემატურ ჯგუფებში, სადაც შეივსო

ცალკეული ღია მონაკვეთები სათანადო ინფორმაციით. მომზადდა ანგარიში უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა და 3 წლიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცდა აკადემიური საბჭოს 2024 წლის 22 თებერვლის N22/2024 დადგენილებით და მოიცავს უნივერსიტეტის მმართველობითი რგოლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ხედვას. სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიან სტრატეგიას 2022-2030 წლებში. სტრატეგიული განვითარების გეგმა ასახავს თსუ-ს პრიორიტეტებსა და მიზნებს, რომლებიც განხორციელდება დეტალური სამოქმედო გეგმის მეშვეობით.

## 3.3 ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციის ინსტიტუციური შეფასების პროგრამის (IEP) შეფასების თანმდევი ანგარიში

ინსტიტუციური შეფასების პროგრამა (IEP) არის ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA) დამოუკიდებელი წევრი - სერვისი, რომელიც მონაწილე ინსტიტუტებს უზრუნველყოფს შეფასებებით, რითაც მხარს უჭერს მათი სტრატეგიული მართვისა და შიდა ხარისხის კულტურის მუდმივი განვითარების პროცესს. ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შეფასება ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციის ინსტიტუციური შეფასების პროგრამის (IEP) ფარგლებში განხორციელდა 2022 წელს (ჩატარდა ორი ონლაინ შეხვედრა). შეფასების ანგარიშში მოხვდა 29 რეკომენდაცია. საბოლოო შეფასების ანგარიშის მიღებიდან ერთი წლის შემდეგ დაწესებულებას უნდა წარედგინა IEP-ის სამდივნოს წინაშე თანმდევი ე.წ. პროგრეს-ანგარიში. ის წარმოადგენს უკუკავშირის ფორმას, რომლის მიზანია აჩვენოს, თუ როგორ გაითვალისწინა დაწესებულებამ IEP-ის გუნდის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები.

2024 წელს სამსახურის მიერ მომზადდა და IEP-ს გაეგზავნა პროგრეს-ანგარიში, სადაც აღწერილი იყო ის ნაბიჯები, რომლებიც დაწესებულებამ გადადგა IEP-ის შეფასების გუნდის მიერ გაცემული რეკომენდაციების გასატარებლად. IEP-ის გუნდმა მადლობა გადაუხადა ინსტიტუციას კონსტრუქციული თანამშრომლობისათვის.

## 3.4 საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში უნივერსიტეტის მონაწილეობის მხარდაჭერა

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით, უნივერსიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ სტრუქტურებთან თანამშრომლობით, შემუშავდა და დამტკიცდა სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით "ერაზმუს+" (Key Action 2; Key Action 3; Jean Monnet) ფარგლებში საერთაშორისო საგრანტო განაცხადის წარდგენის წესი (ბრძანება: 24.12.2019, 22/04). აღნიშნული წესის მიზანი იყო უნივერსიტეტის სახელითა და მისი ჩართულობით განხორციელებული პროექტების მაღალი ხარისხის, სანდოობის, ეფექტიანობის, უნივერსიტეტის პრიორიტეტებისა და საჭიროებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა; უნივერსიტეტისთვის საგრანტო განაცხადების სისტემატიზებაში, კონტროლსა და არაპროდუქტიული ხარჯების თავიდან აცილებაში დახმარება. წესის მიხედვით განსაზღვრული იყო მოთხოვნები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო საგრანტო განაცხადი იმისთვის, რომ წარდგენილ იქნას უნივერსიტეტის სახელით ან უნივერსიტეტი ჩაერთოს პროექტში როგორც ერთ-ერთი მონაწილე.

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიცირებით აღნიშნულ ბრძანებაში შევიდა ცვლილებები. კერძოდ, შეივსო ერაზმუს+-ის პროგრამების ჩამონათვალი და დაემატა პროფესიული განათლების მიმართულებაც. ასევე ხელახლა დამტკიცდა სხვადასხვა ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისგან დაკომპლექტებული კომისიის შემადგენლობა, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში აფასებს პროექტს. ბოლო ცვლილებები განხორციელდა ბრძანებით 7/01-01, 17/01/2024.

2024 წელს მიმდინარე კონკურსზე წარდგენილ იქნა ერაზმუს+-ის 18 აპლიკაციის განაცხადი, კომისიამ შეხვედრები გამართა 2024 წლის იანვარ-თებერვალში. კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ სამსახურის

უფროსი შ. ფოთოლაშვილი (კომისიის წევრი) და მთავარი სპეციალისტი თ. დავითაშვილი (კომისიის მდივანი).

## 3.5 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონაწილეობს სხვადასხვა ღონისძიებებში და მართავს რიგ პროექტებს ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით. საანგარიშო პერიოდში მუშაობა მიმდინარეობდა პარალელურად რამდენიმე პროექტის ფარგლებში, რომელთა აღწერილობას წარმოვადგენთ წინამდებარე ანგარიშში:

### 3.5.1 *,,კვლევის პასუხისმგებლობიანად წარმართვა – კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში" (ETHICS)*

მიმდინარე პროექტის ,,კვლევის პასუხისმგებლობიანად წარმართვა – კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში" (ETHICS) მიზანია, მაღალკვალიფიციურ კვლევებსა და მოწინავე აკადემიურ მიდგომებზე ორიენტირებული პრაქტიკის დანერგვით სისტემურად გააუმჯობესოს უნივერსიტეტებისა და კვლევითი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული კვლევითი საქმიანობა.
პროექტის კონკრეტულ ამოცანებში შედის კვლევის ეთიკის, კვლევის სანდოობისა და კვლევის კეთილსინდისიერების მექანიზმების დანერგვა, ასევე მკვლევრების საქმიანობაში, მაღალი დონის სასწავლო პროგრამებსა და სადოქტორო პროგრამების სააკრედიტაციო სტანდარტებში კვლევის პასუხისმგებლობიანად წარმართვის კონცეფციის გაძლიერება, რაც მიზნად ისახავს არაორიგინალური აკადემიური ნაშრომების პრევენციას და ავთენტური კვლევითი პრაქტიკის ხელშეწყობას ქართულ უნივერსიტეტებში.
პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ძირითადი აქტივობები მოიცავს:

- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტის გადახედვას და ექსპერტების ცოდნის და უნარ-ჩვევების გაძლიერებას;
- კვლევის კეთილსინდისიერების მოდულის (ვრცელი ციფრული სასწავლო კურსის MOOC) შექმნას;
- მკვლევრების და კვლევის დამხმარე [კეთილსინდისიერებაზე პასუხისმგებელი] პერსონალის მომზადებას;
- საუნივერსიტეტო კვლევის კეთილსინდისიერების და ეთიკის მათ შორის საჭირო რესურსების პოლიტიკისა, დოკუმენტების გადახედვა-შემუშავებას;
- კვლევის კეთილსინდისიერებისა და ეთიკის საბჭოს ჩამოყალიბებას,
- კვლევითი საქმიანობისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნის მიზნით აკადემიური მხარდაჭერის და კეთილსინდისიერი კვლევის სერვისების განვითარებას;
- ქართულ უნივერსიტეტებში პასუხისმგებლობიანი სამეცნიერო კომუნიკაციის ხელშეწყობას.

### 3.5.2 ტრენინგების სერია პროექტის *ETHICS ფარგლებში*

- 2024 წლის 7 ივნისს ERASMUS + პროექტის ,,კვლევის პასუხისმგებლობიანად წარმართვა –კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში" (ETHICS) ფარგლებში ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი თსუ-ის ფაკულტეტის წარმომადგენლებისთვის.
- 2024 წლის 13 ივნისს ERASMUS + პროექტის ,,კვლევის პასუხისმგებლობიანად წარმართვა –კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში" (ETHICS) ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის ერთობლივი (თსუ, ბსუ, ასწუ, თესაუ) საგანმანათლებლო პროგრამის ***განათლების მეცნიერებები*** სტუდენტთათვის ჩატარდა ტრენინგი ,,კვლევის ეთიკის კომპონენტები და კვლევის კეთილსინდისიერების ევროპული კოდექსი". ტრენინგს დაესწრო 15 მონაწილე.

- 2024 წლის 24 ივნისს ERASMUS + პროექტის ,,კვლევის პასუხისმგებლობიანად წარმართვა – კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში" (ETHICS) ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი თსუ-ის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის ,,კვლევის ეთიკის კომპონენტები და კვლევის კეთილსინდისიერების ევროპული კოდექსი". ტრენინგს დაესწრო 19 მონაწილე საგანმანათლებლო პროგრამებიდან: ***კომპიუტერის მეცნიერება***, ***ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი***, ***ბიზნეს ადმინისტრირება***, ***ურბანისტიკა***, ***სამართალი***, ***კულტურის და მედიის სოციოლოგია***, ***სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებები***, **ეკონომიკა**, **პოლიტიკის მეცნიერება**.

პროექტის ETHICS ფარგლებში მიმდინარე აქტივობები რეგულარულად ქვეყნდება სამსახურის ვებ-გვერდზე.

2024 წელს მიმდინარეობდა მუშაობა ახალი პროექტების წარსადგენად. მომზადებულია და წარდგენილია სამი საერთაშორისო პროექტი.

### 3.5.3 აშშ პროგრამა UNIVERSITY CAPACITY BUILDING PROGRAM (UCBP)

2024 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მონაწილეობა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების „უნივერსიტეტის შესაძლებლობების განვითარების პროგრამაში" (University Capacity Building Program (UCBP)), რომელიც აშშ საელჩოს, ამერიკის საბჭოსა და უნივერსიტეტის კვლევის ადმინისტრატორების ეროვნული საბჭოს (NCURA) მხარდაჭერით განხორციელდა. პროგრამის ფარგლებში თსუ-დან ჩართული იყო რექტორის მოადგილე საგარეო ურთიერთობების მიმართულებით ერეკლე ასტახიშვილი. პირველ ეტაპზე, პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სამუშაო ვიზიტი აშშ-ში, რის საფუძველზეც შემდგომ თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აქტიური ჩართულობით შემუშავდა საპასუხო ვიზიტის სამოქმედო გეგმა (Action Plan for Reciprocal Visit). სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელდა უნივერსიტეტის შეფასება რამდენიმე მიმართულებით. კერძოდ, დადგინდა აშშ-სთან პოტენციური თანამშრომლობის მიზნები და ამოცანები; იდენტიფიცირდა უნივერსიტეტის გამოწვევები და გასაუმჯობესებელი მხარეები, რომლებიც მიმოხილული იქნება საპასუხო ვიზიტის განმავლობაში; შემუშავდა პროექტის კონცეფცია, მიზნები, შედეგები და ფინანსური რესურსები; პასუხისმგებელი პირები და სტრუქტურული ერთეულები; პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები და ვადები; პროექტის შეფასების გეგმა, შეფასების კრიტერიუმები და სხვ. „უნივერსიტეტის შესაძლებლობების განვითარების პროგრამის" ფარგლებში თსუ-ში იგეგმება აშშ-დან წარმომადგენლების სამუშაო ვიზიტი 2024 წლის ბოლოს-2025 წლის თებერვალში.

### 3.6 აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

თსუ-ს ელექტრონული სწავლების პორტალზე დანერგილია მსგავსების/პლაგიატის აღმოჩენისა და პრევენციის მექანიზმის პროგრამა Turnitin. პროგრამა პირველად ჩაშენდა Moodle-ის სისტემაში 2018 წლის 6 ივლისში. 2023 წლის ბოლოსთვის Moodle-ის ელექტრონულ სასწავლო პლატფორმაზე უკვე გააქტიურებული იყო Turnitin-ის ყველა ლიცენზია, ხოლო ატვირთული და განთავსებული იყო 7106-ზე მეტი სასწავლო კურსი. Turnitin-ის გამოყენება ხდება ელექტრონულ პორტალზე e-learning.tsu.ge, როგორც სხვადასხვა სასწავლო კურსის დავალების/საგამოცდო ნაშრომების, ისე საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების მსგავსებაზე შესამოწმებლად. 2024 წლის ნოემბრის თვეში კვლავ განახლდა Turnitin-ის ლიცენზია ერთი წლით და მოხდა ახალი ხელშეკრულების გაფორმება.

### 3.7. პერსონალის განვითარების მხარდაჭერა

აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მხარდაჭერა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საქმიანობის ერთ-ერთი არსებითი და მნიშვნელოვანი აქტივობაა, რაც დაწესებულების ინსტიტუციური განვითარების საშუალებას იძლევა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი თემები იქნა განხილული სამსახურის ჩართულობით, რომელიც შემოთავაზებული იყო ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურის გარე აქტორების მხრიდან. საანგარიშო პერიოდში, ხარისხი უზრუნველყოფის სამსახური მონაწილეობდა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ფორმატით გამართულ ტრენინგებში, ვებინარებში, სამუშაო შეხვედრებსა და კონფერენციებში. 2024 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონაწილეობით გამართული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია:

- **2024 წლის 30-31 მაისი** ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალური ოფისის პერსონალის ვიზიტი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალური დირექტორის, ბატონ მოჰამედ კეტატას ხელმძღვანელობით. აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში შედგა სამუშაო შეხვედრები პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან, თსუ-ს რექტორთან, აკადემიკოს ჯაბა სამუშიასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან ბატონ შოთა ფოთოლაშვილთან და დაიგეგმა მომავალი ურთიერთთანამშრომლობის გეგმები;
- **2024 წლის 27 ივნისი:** ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს რექტორთა მუდმივმოქმედ კონფერენციასთან არსებულ C2R-ECO თემატური ჯგუფების შეხვედრა, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს ინტერნაციონალიზაცია; მობილობის თემატური ჯგუფის ფარგლებში თემატური მოხსენება: *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით 2019-24 წწ. განხორციელებული პროექტების შესახებ* (მომხს. გ. კალატოზიშვილი);
- **2024 წლის 19 ნოემბრი:** ბულგარეთი, ქალაქი სოფია - ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ფრანგულენოვანი რეგიონული ცენტრის (CREFECO) და ფრანკოფონიის ადმინისტრაციისა და მენეჯმენტის სპეციალიზებულ დაწესებულებასთან (ESFAM) ერთად ორგანიზებული ტრენინგი ***„სწავლის პრაქტიკის გამდიდრება საგანმანათლებლო მულტიმედიური ლაბორატორიების (LMP) გამოყენებითა და IA-ს ინტეგრირებით“*** (ტრენერი: ტექნოტრენერი მოჰამედ ლარბი ბენ იუნი (ტუნისი), განათლების ინჟინერი მარი ტიერიონი (ტულუზა, საფრანგეთი) და განათლების ინჟინერი, ტრენერი და მასწავლებელი და ნიკოლაი ნიკოლოვი (ბულგარეთი), თემატიკა: *საგანმანათლებლო სკრიპტის დაწერის ტექნიკა; LMP-ის ფუნქციონალობის დემონსტრირება; ვიდეო, რომელიც ემსახურება ჰიბრიდიზაციას კლასში; საგანმანათლებლო ვიდეოების ოპტიმიზაცია ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით; სცენარების დიზაინი; ვიდეო კაფსულების პრეზენტაცია.*).

## 3.8. სიახლეები პროფესიული განათლების ცენტრში

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრი ორ ლოკაციაზე, თბილისსა და ქუთაისში ფუნქციონირებს.

მოცემულ ეტაპზე, ცენტრი წარმატებით ახორციელებს **16** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ორივე ლოკაციაზე (მათ შორის 2024 წელს ცენტრში განხორციელდა 6 ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება) და **1** პროფესიულ გადამზადების პროგრამას თბილისის ლოკაციაზე. ყველა პროგრამა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №42/ნ ბრძანების ((02/06/2021) „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები“) საფუძველზე, ცენტრის მიერ ახალი წესით ხორციელდება აპლიკანტების შერჩევა.

2024 წელს ორივე ლოკაციაზე რეგისტრირებული **1618** აპლიკანტიდან პროფესიული ტესტირებისა და გასაუბრების საფუძველზე შეირჩა და პროგრამებზე ჩაირიცხა **375** პროფესიული სტუდენტი.

2024 წელს კვალიფიკაცია მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების **199** კურსდამთავრებულს, ხოლო მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების პროგრამა „ლაბორატორიული ჯანმთელობა და უსაფრთხოება“ დაასრულა **46**-მა მსმენელმა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელდა:**

- თბილისისა და ქუთაისის ლოკაციაზე მიმდინარე ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემის ვერიფიკაცია;
- ცვლილებები სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტის შეფასების ვერიფიკაციის წესში;
- ელექტრონული კითხვარის გამოყენებით პროფესიული სტუდენტის, მსმენელის, დამსაქმებლების, მასწავლებლების და კურსდამთავრებულების გამოკითხვა, რომელთა შედეგების ანალიზის საფუძველზე შემუშავდა ანგარიში და რეკომენდაციები;
- პროფესიული პროგრამების მასწავლებლებისა და ხელმძღვანელებისთვის (თბილისი, ქუთაისი) საკონსულტაციო შეხვედრები და საინფორმაციო ტრენინგები სწავლა-სწავლების მიმართულებით;
- საანგარიშო პერიოდში მოხდა 6 ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება;
- თსუ პროფესიული განათლების ცენტრის ცნობადობის ამაღლების მიზნით წლის განმავლობაში დაიგეგმა და განხორციელდა არა ერთი აქტივობა და სხვადასხვა ღონისძიება, ასევე ვიზიტები სამაუწყებლო მედიის (ტვ, რადიო) პირდაპირ ეთერში, ცენტრის საქმიანობის შესახებ გავრცელდა ინფორმაცია მედია საშუალებებში. თსუ პროფესიული განათლების ცენტყრი ასევე აქტიურად იყო წარმოდგენილი სოცმედიაში და ცენტრის ვებგვერდზე.
- გაზაფხულზე დაიწყო წარმატებული კურსდამთავრებულების კამპანია ვებგვერდსა და სოცმედიაში, რაც დადებითად აისახა სამიზნე ჯგუფების დამოკიდებულებებზე და მნიშვნელოვანი შედეგი იქონია აპლიკანტების მოზიდვის პროცესზე. კამპანია წლის ბოლოს დასრულდა.
- მომზადდა ცალკეული ვიდეო კლიპები პროფესიული პროგრამების შესახებ, რაც პროფესიული განათლების მსურველებს აძლევდა დეტალურ ინფორმაციას პროფესიისა და პროგრამის შესაძლებლობების შესახებ. კლიპები გავრცელდა სოციალური მედიით და ხელმისაწვდომი იყო სამიზნე აუდიტორიისთვის და ფართო საზოგადოებისთვის.
- 2024 წლის 22 სექტემბერს თსუ პროფესიული განათლების ცენტრის ორგანიზებით გაიმართა ონლაინ ღია კარის დღე. 2024 წლის აქტიურად მიმდინარეობდა შეხვედრები და კომუნიკაცია პარტიორ ორგანიზაციებთან, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორთან მომავალი თანამშრომლობის გასაფართოებლად. მომზადდა რამდენიმე ორგანიზაციასთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გასაფორმებლად. მემორანდუმები ითვალისწინებს ერთობლივი პროგრამების, პროექტების, ღონისძიებების განხორციელებას, სტუდენტების, კურსდამთავრებულების სტაჟირებას და დასაქმებას.
- პროფესიული განათლების ცენტრის ორგანიზებით გაიმართა კონფერენცია ,,პროფესიული განათლება - ახალი შესაძლებლობა კარიერულ წინსვლაში“. ღონისძიების პარალელურად გაიმართა ფოტოგამოფენა, სადაც პროფესიული პროგრამების ფარგლებში სტუდენტების აქტივობები იყო წარმოდგენილი.
- პროფესიული განათლების ცენტრის სტუდენტი ელენე ნინო მაისურაძე პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს კონკურსის ფინალისტია. წლევანდელი ფინალისტები დამოუკიდებელმა ჟიურიმ პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს ნახევარფინალში გამოავლინა.
- პროფესიული განათლების ცენტრის პროექტმა „ვისწავლოთ, დავმეგობრდეთ და აღმოვაჩინოთ საქართველო - ექსტრაკურიკულური აქტივობები მდგრადი მომავლისთვის“ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისთვის "ექსტრაკურიკულური აქტივობების დანერგვა-განვითარებასთან დაკავშირებით" გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა. მისი განხორცილება 2025 წელს დაიწყება.
- წარმატებით განხორციელდა სტუდენტური პროექტები რომელიც ცენტრის ბიუჯეტიდან დაფინანსდა. თსუ პროფესიული განათლების ცენტრის სტუდენტებმა მარიამ ხმიადაშვილმა და ანი ჩიღოშვილმა (“ღონისძიების ორგანიზება”, თბილისი) და ლენა მეშველიანმა (“ღონისძიების ორგანიზება”, ქუთაისი) განახორციელეს სტუდენტური პროექტები თბილისსა და ქუთაისში. პროექტების მიზანი იყო პროფესიული სტუდენტებისთვის დამატებით ისეთი ცოდნის და უნარების მიცემა, რაც მათ მომავალში დასაქმებასა და კარიერულ განვითარებაში დაეხმარებათ.

- ❖ პროფესიული განათლების ცენტრმა პროფესიული განათლების საერთაშორისო კვირეულში მიიღო მონაწილეობა, რომელსაც ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი მასპინძლობდა. ცენტრს ჰქონდა მომზადებული საკუთარი სტენდი, სადაც წარმოდგენილი იყო ინფორმაცია საქმიანობის, პროგრამების შესახებ, ასევე ბრენდირებული სასაჩუქრე ატრიბუტიკა. კვირეულის ფარგლებში პრეზენტაციით წარსდგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრი. პრეზენტაციისას აქცენტი გაკეთდა ცენტრის საქმიანობაზე, ინტერნაციონალიზაციის პროცესზე, განხორციელებულ პროფესიულ პროგრამებსა და თანამშრომლობის პერსპექტივებზე. აღნიშნულ ღონისძიებაზე მოხდა ესტონელი კოლეგების დაინტერესება ცენტრის ლოჯისტიკის მიმართულების პროგრამებით. ესტონელ კოლეგებთან 2024 წელს გაიმართა არაერთი შეხვედრა ურთიერთთანამშრომლობის საკითხების გამოკვეთის მიზნით და 2025 წელს იგეგმება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება.
- ❖ ცენტრის ორგანიზებით სტუდენტებისთვის მომზადდა რამდენიმე ტრენინგი. მათ შორის: "*როგორ დავიცვათ საკუთარი უფლებები შრომის ბაზარზე - შრომითი ხელშეკრულება, როგორც იურიდიული გარანტი*", რომელსაც იურისტი ალექსანდრე თორია უძღვებოდა; „*როგორ შეიძლება გავზარდოთ დასაქმების შესაძლებლობები/HR.GE როგორც ხელშემწყობი პლატფორმა*". ვორკშოპს დასაქმების სააგენტოს HR.GE რეგიონალური მენეჯერი ინგა შახბაზიანი და ადამიანური რესურსების მენეჯერი ანი ლობჟანიძე უძღვებოდნენ; ქუთაისში ტრენერმა ნიკოლოზ კილასონიამ მასტერკლასი ჩაატარა თემაზე „*პირადი დროის მენეჯმენტი და წარმატებული ცხოვრების სტილი*";
- ❖ პროფესიული განათლების ცენტრის ორგანიზებით პროფესიული პროგრამების მასწავლებლებისთვის და ცენტრის ადმინისტრაციული პერსონალისთვის სპეციალური ტრენინგი *„დროისა და ენერგიის ეფექტურად მართვა"*გაიმართა.

ცენტრი აქტიურად მუშაობს რეავტორიზაციის პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის და თბილისის, ქუთაისის ლოკაციაზე იგეგმება ახალი მოკლევადიანი პროფესიული პროგრამების დამატება.

## 3.9. თანამშრომლობა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოქმედების არეალი ფარავს არამარტო შიდა, არამედ გარე ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებს, თუმცა სამუშაო პროცესში თავს იჩენს რიგი საკითხები, რომელიც საჭიროებს კონკრეტული საკითხებისა და ამოცანების დეცენტრალიზებულად დაგეგმას, განხორციელებას და გადაჭრას, რაც აკადემიური თავისუფლების კიდევ ერთი გამოკვეთილი ფორმაა საუნივერსიტეტო სივრცეში. აქედან გამომდინარე, საფაკულტეტო ხარისხის უზურნველყოფის სამსახურებს შესაძლებლობა ეძლევათ, ჩამოაყალიბონ საკუთარი საფაკულტეტო სპეციფიკა და მასზე დაყდრობით კიდევ უფრო ხილვადი გახადონ ფაკულტეტის ძირითადი პროფილი, რითაც ისინი ამდიდრებენ საუნივერსიტეტო აკადემიურ სურათს, ვინაიდან აკადემიურ მრავალფეროვნებაში ძევს უმაღლესი სასწავლებლის სიძლიერე.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტულ თემებად იქნა განხილული ხარისხის უზრუნველყოფის საფაკულტეტო სამსახურებთან თანამშრომლობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, (რე)აკრედიტაციის პროცესები შიდა კოლეგიალური და გარე შეფასების რეჟიმში. წინამდებარე პროცესებში დაფიქსირდა ჩართულობის მაღალი მაჩვენებელი საფაკულტეტო ადმინისტრაციული ერთეულების მხრიდან.

ტრანსფორმირება განიცადა აკრედიტაციის მოსამზადებელმა პროცესებმა, რომელთა ცვლილება განხორციელდა კლასტერული აკრედიტაციის და ავტორიზაციის მოთხოვნების შესაბამისად ინტერდისციპლინური თანამშრომლობის პერსპექტივაში. ფაკულტეტთა შორის თანამშრომლობის ერთ-ერთ მნიშვლნელოვან ეტაპად შეიძლება დასახელდეს ავტორიზაციის პროცესში კვლევების მიმართულებით სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ისევე როგორც ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტების აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების ქმედითი ჩართულობა კვლევებისა და შეფასების პროცესში.

სამსახურის მანდატის ფარგლებში 2024 წელს აქტიურად განიხილებოდა შემდეგი თემები:

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიკაციის საკითხი კლასტერული აკრედიტაციის ფარგლებში;
- ✓ ავტორიზაციის სტანდარტების მიხედვით მონაცემების მომზადება, კალსიფიცირება, ანალიზი და შეჯერებული კრიტიკული ანალიზის მომზადდება;
- ✓ ინსტიტუციის მარეგულირებელი წესების მომზადება, განხილვა და გაზიარება;
- ✓ სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა ხარისხის უზრუნველყოფის საკითხების მხარდაჭერის პროცესში.

წინამდებარე თემებზე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სამუშაოებს წარმართავდა გუნდურად, რაც გულისხმობს აქტიურ კომუნიკაციას ფაკუტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან.

## 3.10. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ქართულ და ინგლისურენოვანი ვებ-გვერდი მოიცავს ინფორმაციას სამსახურის საქმიანობის ყველა მიმართულების შესახებ. ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად.

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებ-გვერდის კონტენტი და ინგლისურენოვანი მხარდაჭერა განაპირობებს ინტერნაციონალური ვიზიტორების მზარდ ინტერესს. ვებგვერდზე 2021 წლის აპრილიდან დაყენებული ვიზიტორების მთვლელის მიხედვით ფიქსირდება ვებგვერდის ნახვა მსოფლიოს 106 ქვეყნის წარმომადგენელთა მიერ (მაჩვენებელი აღებულია 2024 წლის დეკემბერი მონაცემებით. 2024 წლის მარტის მდგომარეობით იყო 102):

**107 different countries have visited this site.** 140 flags collected. View all details »



2021 წლის აპრილიდან ვიზიტორების მთვლელმა დააფიქსირა ვებგვერდის ნახვა 25 661-ჯერ, 15 563 ვიზიტორის მიერ. ქვეყნების პირველი ოცეული ასე გამოიყურება:

Page: 1 2 3 >

| | Country | Visitors | Last New Visitor |
|---|---|---|---|
| 1. | Georgia | 9,607 | 2 hours ago |
| 2. | Singapore | 3,499 | March 10, 2025 |
| 3. | United States | 1,378 | 3 hours ago |
| 4. | Russia | 143 | February 27, 2025 |
| 5. | United Arab Emirates | 119 | February 27, 2025 |
| 6. | Germany | 117 | March 10, 2025 |
| 7. | India | 92 | March 10, 2025 |
| 8. | Saudi Arabia | 61 | 4 hours ago |
| 9. | Turkey | 56 | February 24, 2025 |
| 10. | United Kingdom | 47 | February 19, 2025 |
| 11. | Ukraine | 40 | February 21, 2025 |
| 12. | Qatar | 38 | January 18, 2025 |
| 13. | Azerbaijan | 33 | December 11, 2024 |
| 14. | Spain | 31 | January 30, 2025 |
| 15. | Poland | 29 | March 5, 2025 |
| 16. | Portugal | 29 | October 24, 2024 |
| 17. | France | 27 | February 11, 2025 |
| 18. | China | 26 | January 23, 2025 |
| 19. | Italy | 25 | November 16, 2024 |



## 4. თანამშრომლობა ხარისხის უზრუნველყოფის გარე აქტორებთან და ინსტიტუციებთან

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის წარმატებული მართვა უკავშირდება არამარტო შიდა აქტორებთან კომუნიკაციას, არამედ მუდმივ და ინტენსიურ თანამშრომლობას ხარისხის გარე აქტორებთან, მათ შორის გარე შემფასებლებთან, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრთან, ასევე საერთაშორისო ინსტიტუციებთან.

2021 წლის პერიოდში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კომუნიკაცია შედგა გარე აქტორებთან:

- ✓ კომუნიკაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან;
- ✓ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან;
- ✓ სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან;
- ✓ კომუნიკაცია ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციასთან (EUA).

### 4.1 თანამშრომლობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთანს

2024 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მედიაციით დაიგეგმა და განხორციელდა:

- ნებართვის გაცემა საგანმანათლებლო პროგრამების უცხოურ ენაზე (ინგლისური, რუსული) განხორციელების შესახებ (საგანმანათლებლო პროგრამებისთვის: დოქტორანტურის ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამა ***განათლებისა და მეცნიერების მმართველობა და ადმინისტრირება*** (საბერძნეთი) და ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა ***ჟურნალისტიკა***);
- მომზადდა კონკრეტული საპასუხო კორესპონდენციები აკადემიურ სივრცეში დანერგილ სიახლეებსა და საგანმანათლებლო პროგრამებში მოქმედ აქტუალურ თემებთან დაკავშირებით;
- განხორციელდა გმსს-ის საგანმანათლებლო პროგრამების მოქმედი ბაზის 4 გეგმიური მონიტორინგი;
- მომზადდა და განხორციელდა გეგმიური მონიტორინგი ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის კორექტირების მიზნით;

მუდმივი კონტაქტები და ინტენსიური თანამშრომლობა აქვს სამსახურს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარებს ეროვნულ ცენტრთან, გამომდინარე სამსახურებრივი დაქვემდებარებიდან და ეტაპობრივად დაგეგმილი სიახლეებიდან. 2024 წელს, სამსახურის მანდატის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა ტიპის დოკუმენტაციის ანალიზი და 80-მდე საგანმანათლებლო პროგრამის სხვადასხვა რეჟიმში ცენტრის შესაბამის სამსახურებში წარდგენა, მათ შორის:

- საგანმანათლებლო პროგრამების (რე)აკრედიტაციის ფარგლებში;
- აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ანგარიშების წარდგენისა და საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;
- ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი;
- სააკრედიტაციო პროცესისა და წინამდებარე პროცესებში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ჩართულობის ხარისხის შეფასება;
- აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაზე არგუმენტირებული პასუხის მომზადება;
- ახალი საკანონმდებლო ინიციატივებისა და პროექტების განხილვაში ჩართულობა;
- დარგობრივ მახასიათებელთა შემმუშავებელი საბჭოს შემადგენლობაში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წარდგენის შესახებ;
- უამაღლეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის, ავტორიზაციის, სააპელაციო საბჭოების და მედიცინის ექსპერტთა ჯგუფის კანდიდატების რეკომენდება და წარდგენა;
- კლასტერული აკრედიტაციის მზადების პროცესში შემუშავებული დოკუმენტების ანალიზი, რეკომენდაციებისა და მოსაზრებების გაცვლა.

ზემოხსენებული პროცესები და აქტივობები აქტორებს შორის მიმდინარეობს გეგმის მიხედვით, თანმიმდევრულად, შედეგზე ორიენტირებულად და შეუფერხებლად, აქტორთა მაღალი პასუხიმგებლობისა და პროფესიონალიზმის საფუძველზე.

## 5. სამსახურის სხვა საქმიანობა

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მკაცრად გაწერილ შიდა საუნივერსიტეტო პროცედურებზე დაყრდნობით წარმართავს თავის საქმიანობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო ადმინისტრაციულ ერთეულებთან. 2023 წლის საანგარიშო პერიოდში მუშაობა წარიმართა შემდეგი მიმართულებით:

- გარე და შიდა კორესპონდენციის მიმოქცევის შესწავლა და მომზადება;
- აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოებისთვის დადგენილებების ინიცირება და მომზადება.

### 5.1 გარე და შიდა კორესპონდენციის მიმოქცევის შესწავლა და მომზადება

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში ოფიციალურად შემოვიდა 3500-მდე კორესპონდენცია და 1700 პასუხი დაუბრუნდა ადრესატს. კორესპონდენციათა ძირითად თემატიკას წარმოადგენდა:

- საგანმანათლებლო პროგრამების სააკრედიტაციო პროცესებთან დაკავშირებული თემები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი თემები საფაკულტეტო და ცენტრალური ადმინისტრაციებიდან;
- სტუდენტთა მობილობა და კრედიტების აღიარება;
- საქრთველოს უსდ-ში გავლილი სასწავლო კურსების კრედიტების აღიარება;
- თსუ-ში სწავლის პერიოდში გავლილი სასწავლო კურსების კრედიტების აღიარება;
- საზღვარგარეთ მობილობის ფარგლებში გავლილი სასწავლო კურსების კრედიტების აღიარება;
- თანდართული სერტიფიკატის საფუძველზე უცხო ენის სავალდებულო მოდულიდან გათავისუფლება;
- სასწავლო კურსების სილაბუსების/სილაბუსების ანოტაციების ცნობის აპოსტილისთვის მომზადება;
- უნივერსიტეტთაშორისი თანამშრომლობის ამსახველი ხელშეკრულებების ექსპერტიზა;
- უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ექსპერტიზა/ექსპერტიზისათვის მომზადება;
- თსუ-ის ავტორიზაციის შესახებ ცნობის მომზადება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული პროცედურების საფუძველზე;
- საგრანტო და საპროექტო თემებთან დაკავშირებული საკითხები;
- მიმოწერა ხარისხის გარე და შიდა აქტორებთა;
- კორესპონდენცია უცხოელ კოლეგა-ექსპერტებთან და ინსტიტუციებთან;
- კომუნიკაცია მოქალაქეებთან;
- თსუ-ის კურსდამთავრებულების სხვადასხვა პოზიციებზე მუშაობის უფლების შესახებ ცნობის მომზადება;
- სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების შესახებ უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული პროცედურების საფუძველზე ცნობის აპოსტილისთვის მომზადება;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმისწარმოება (შემოსული და გასული დოკუმენტების აღრიცხვა).

საანგარიშო პერიოდში შემოსული და გასული კორესპონდენციის (როგორც შიდა, ისე გარე მიმოქცევის) დიდი წილი მოდიოდა საგანმანათლებლო პროგრამების სააკრედიტაციო პროცესებთან დაკავშრებულ

თემებზე - დაახლოებით 980 ერთეული. კონკრეტული მონაცემების სტატისტიკურმა აღრიცხვამ აჩვენა საანგარიშო პერიოდში წერილობითი კომუნიკაციის მაღალი რიცხოვნობა და ფართო თემატიკა.

## 6. სამსახურის თვითშეფასება და შემდგომი განვითარების პერსპექტივები

საანგარიშო პერიოდში შესრულებული სამუშაოების, ისევე როგორც ავტორიზაციის საანგარიშო პერიოდში გაწეული აქტივობების საფუძველზე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადდა ავტორიზაციის მაძიებლობის თვითშეფასების ანგარიში. საანგარიშო პერიოდში ასევე შეფასდა ინსტიტუციის სტრატეგიული განვითარების გეგმა და შემუშავდა ახალი სტრატეგიული დოკუმენტი, რომელთა შეჯერების საფუძველზე შემუშავებული იქნება სამსახურის 2025 წლის სამოქმედო გეგმა.